MES 3 22 0000328911

30/03/2022

**უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს**
**სხდომის ოქმი**

ქ. თბილისი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 103-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით **2022 წლის 16 მარტს.**

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

სხდომას ესწრებოდნენ:

**უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში-საბჭო) წევრები:**

1. **კახა შენგელია** - შპს „კავკასიის უნივერსიტეტის“ პრეზიდენტი - საბჭოს თავმჯდომარე;
2. **ზურაბ ორჯონიკიძე** - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი (კანცლერი) - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
3. **გაგა გვენეტაძე** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი - საბჭოს მდივანი;
4. **ივანე აბაშიძე** - სსიპ - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორის მოადგილე;
5. **დავით ბოსტოღანაშვილი** - შპს „აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის“ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, იურიდიულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი;
6. **ელიზბარ ელიზბარაშვილი** - ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის საერთო-საუნივერსიტეტო ლაბორატორიული ცენტრის მენეჯერი, პროფესორი;
7. **ნიკა თიკანაშვილი** - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის საერთაშორისო ურთიერთობების ხელმძღვანელი, შპს „საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის“ საინჟინრო ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი;
8. **ნინო იმნაძე** - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
9. **გია ლობჟანიძე** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წევრი, ზოგადი ქირურგიის კათედრის ხელმძღვანელი, პროფესორი;

10. **ერმილე მესხია** - სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, კულტურის მენეჯმენტისა და კულტურული ტურიზმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებისა და ხელოვნების მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი;
11. **ლელა სალაყაია** - ა(ა)იპ - ადამიანური რესურსების მართვის პროფესიონალთა ასოციაციის სენატის წევრი, შპს „ვიონი საქართველოს" პერსონალთა მუშაობისა და ადმინისტრაციულ საქმეთა დირექტორი, დამსაქმებელი;
12. **გაიანე სიმონია** - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამედიცინო განათლების, კვლევისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის ხელმძღვანელი, გერიატრიის დეპარტამენტის პროფესორი;
13. **კონსტანტინე სირბილაძე** - სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
14. **ანა ფირცხალაშვილი** - შპს „საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ს" სამეცნიერო კვლევების მიმართულებით ვიცე-რექტორი;

**სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში-ცენტრი) წარმომა დგენლები:**

**ნიკოლოზ ფარჯანაძე** - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
**ქეთევან ინანაშვილი** - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;
**ლალი ოდიშვილი** - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;
**დავით ბურჯანაძე** - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
**ნინო ალავიძე** - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
**შოთა კეჟერაშვილი** - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
**ანი ბილანიშვილი** - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
**ანა ჯუღელი** - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი;
**ნინო გულიაშვილი** - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

**უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:**

1. **შპს - ქუთაისის უნივერსიტეტი:**

- **გოჩა თუთბერიძე** - რექტორი;
- **სოფიო ხუნდაძე** - ვიცე-რექტორი ხარისხის განვითარების მიმართულებით;
- **ნინო ტალიაშვილი** - ვიცე-რექტორი სასწავლო პროცესის ადმინისტრირების მიმართულებით;
- **თათია ხარაბაძე** - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
- **თეონა გრიგოლაშვილი** - სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართლის ფაკულტეტის დეკანი;
- **თამარ პერტაია** - მედიცინის ფაკულტეტის დეკანი;

- **თინათინ გოგნაძე** - „დიპლომირებული მედიკოსის“ ერთსაფეხურიანი (ინგლისურენოვანი) საგანმანათლებლო პროგრამის თანახელმძღვანელი.

***უმაღლესისაგანმანათლებლოდაწესებულებებისავტორიზაციისექსპერტები(შემდგომში-ექსპერტები):***

- **ჯილდა ჭეიშვილი;**
- **თინათინ გაბრიჩიძე;**
- **ნინო ზარნაძე;**
- **ეკა გეგეშიძე.**

**საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დამტკიცებული დღისწესრიგი:**

1. შპს - ქუთაისის უნივერსიტეტის გეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
2. შპს - თბილისის თავისუფალი აკადემიის გეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;

**შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით**
√ დიახ
შუამდგომლობის ინიციატორი - ცენტრის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი, ლალი ოდიშვილი.
დღის წესრიგთან დაკავშირებით ცენტრის მიერ წარმოდგენილი იქნა შუამდგომლობა, მეორე საკითხის - შპს - თბილისის თავისუფალი აკადემიის გეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა უახლოეს საბჭოს სხდომაზე გადატანის შესახებ ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის საქართველოში არ ყოფნის გამო.

**საბჭომ დააკმაყოფილა აღნიშნული შუამდგომლობა.**

**დამტკიცებული დღის წესრიგი:**

1. შპს - ქუთაისის უნივერსიტეტის გეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;

1. **შპს - ქუთაისის უნივერსიტეტის გეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;**

უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომელმა ზუმის (Zoom Meeting) საშუალებით ჩართო ექსპერტები და დაწესებულების წარმომადგენლები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

**საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება**

- **არა**

საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

**ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება**

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

**საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახ ილველ საკითხთან მიმართებით.**
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ჯილდა ჭეიშვილმა, განაცხადა, რომ ინსტიტუცია იყო ღია ექსპერტთა ჯგუფთან ურთიერთობისას, მონიტორინგის მიზნით განხორციელდა სამი დღის განმავლობაში, პირველი ორი დღე მიმდინარეობდა ინტერვიუები, მესამე დღეს კი ჩატარდა ვიზიტი, ჩატარდა ონლაინ ინტერვიუები დაწესებულების წარმომადგენლებთან, ადმინისტრაციულ/აკადემიურ პერსონალთან. მიწოდებული დოკუმენტაციის დახმარებით, მესამე დღეს კი ექსპერტთა ჯგუფის გარკვეული ნაწილი გაემგზავრა ქუთაისში, სადაც შემოწმდა საუნივერსიტეტო სივრცე და ლაბორატორიები, ასევე, შემოწმდა ის კლინიკური პრაქტიკის ობიექტები, სადაც დაწესებულება აპირებდა განეხორციელებინა კლინიკური პრაქტიკა „დიპლომირებული მედიკოსის“ პროგრამის ფარგლებში. უნივერსიტეტის ღიაობა გამოიხატებოდა გამოთხოვილი მასალის დროულად მიწოდებაშიც, ასევე, აღნიშნა, რომ დაწესებულება დიდ როლს ასრულებდა რეგიონის განვითარებაში, რადგან ეს იყო ერთადერთი კერძო ინსტიტუცია იმერეთის რეგიონში, იმ ორ სახელმწიფო ინსტიტუციასთან ერთად, საკმაოდ მნიშვნელოვანი იყო აღნიშნული უნივერსიტეტის არსებობა რეგიონში, 2018 წელს გაცემული რეკომენდაციების უმეტესი ნაწილი სრულად შესრულებული იყო, ზოგიერთი მათგანი მეტწილად შესრულებული, რამდენიმე რეკომენდაცია, კი, რომლებიც მონიტორინგის დასკვნაშიც გამოიტანეს საჭიროებდა მეტ ძალისხმევას დაწესებულების მხრიდან, რათა უფრო მეტი ემუშავათ აღნიშნულ რეკომენდაციებზე. დოკუმენტაციის შესწავლისა და ინტერვიუების ფონზე ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა შვიდივე სტანდარტი.
**ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობა შეფასდა შემდეგნაირად:**
· პირველი სტანდარტი - უსდ-ის მისია და სტრატეგიული განვითარება - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
· მეორე სტანდარტი - უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
· მესამე სტანდარტი - საგანმანათლებლო პროგრამები - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
· მეოთხე სტანდარტი - უსდ-ის პერსონალი - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
· მეხუთე სტანდარტი - სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

· მეექვსე სტანდარტი - კვლევა, განვითარება ან/და სხვა შემოქმედებითი საქმიანობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

· მეშვიდე სტანდარტი - მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

**ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:**

1. მიმართეთ ძალისხმევა სტუდენტებისთვის კვლევის ეთიკის დაცვის უზრუნველსაყოფად უნივერსიტეტში არსებული რეგულაციების გაცნობისთვის;

2. რეკომენდირებულია ტრეინინგები პროგრამა ხელმძღვანელებისათვის კვალიფიკაციათა ჩარჩოს შესაბამისობის დადგენის მიზნით;

3. რეკომენდირებულია კურსდამთავრებულების ჩართულობა პროგრამების მოდიფიცირების პროცესში;

4. რეკომენდირებულია პროგრამაში „დიპლომირებული მედიკოსი“ რიგი სასწავლო კურსების დაშვების წინაპირობების დაკორექტირება და მათი ლოგიკური ბმა კურსის შინაარსთან;

5. რეკომენდირებულია „დიპლომირებული მედიკოსი“ ზოგიერთი სილაბუსების დაკორექტირება, კერძოდ: საათების (საკონტაქტო, დამოუკიდებელი) გადანაწილება სასწავლო კურსების სპეციფიკიდან გამომდინარე - საუბარი იყო კლინიკური კომპონენტებზე, ისეთ სასწავლო კურსებზე, რომლებიც მოითხოვს მეტ საკონტაქტო საათებს, კლინიკურ სიმულაციურ ლაბორატორიაში და თანაფარდობა იყო, დაახლოებით, 96:4-თან;

6. რეკომენდირებულია პროგრამაში „დიპლომირებული მედიკოსი“ ფსიქოლოგიის (ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსებიდან) და სოციოლოგიის (არჩევითი თავისუფალი კომპონენტი) სავალდებულოში გადმოტანა, ასევე სამედიცინო ინფორმატიკის კურსის დამატება სავალდებულო სასწავლო კურსებში (საინფორმაციო ტექნოლოგიების ეფექტური გამოყენება ინფორმაციის შესანახად და მოსაძიებლად) - რეკომენსაცია გამოტანილ იქნა დარგობრივი სტანდარტის გათვალისწინებით;

7. რეკომენდირებულია პროგრამაში „დიპლომირებული მედიკოსი“ “სწავლის შედეგების მიღწევის სამიზნე ნიშნულების განსაზღვრა;

8. რეკომენდირებულია პროგრამაში „დიპლომირებული მედიკოსი“ პრაქტიკის ობიექტებში პაციენტის ინფორმირებული თანხმობა განხორციელდეს (წერილობითი ფორმით)- პაციენტის უფლებებისა და ადამიანის უფლებების დაცვის მიზნით - მიუხედავად იმისა, რომ დაწესებულებამ და პრაქტიკის ობიექტებმა დაადასტურეს ინფორმირებული თანხმობის ვერბალური გზით მიღება, თუმცა უმჯობესი იქნება თუ მიიღებდნენ წერილობით;

9. რეკომენდირებულია საგანმანათლებლო პროგრამა „დიპლომირებული მედიკოსი“ სილაბუსებში კლინიკური და პრაქტიკული კომპონენტის შეფასებისას (OSCE/OSPE და სხვ.) კრიტერიუმების გამჭირვალედ გაწერა (რანჟირება ქულობრივი წესით) - მითითებული იყო, რომ OSCE ფასდებოდა 20 ქულით, იქნებოდა კონკრეტული რაოდენობის სადგურები, თუმცა მითითებული იყო, რომ შეასრულა სრულად, ნაწილობრივ ან არასრულად გამოყოფილი იყო ქულობრივი რანჟირებით, რა ქულა იწერებოდა;

10. რეკომენდირებულია ინსტიტუციამ აკადემიური პერსონალის შერჩევისას გაითვალისწინოს საუნივერსიტეტო, საკანონდებლო რეგულაციები და დარგობრივი დოკუმენტის მოთხოვნები (მედიცინის საგანმანათლებლო პროგრამისათვის) - ს.სასწავლო პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის პირადი საქმეების შესწავლით გამოიკვეთა, რომ ზოგიერთ შემთხვევაში ასოცირებული პროფესორის პოზიციას იკავებდა პერსონალი, რომელთა პედაგოგიური გამოცდილება ვერ დასტურდებოდა მოწოდებული მასალით, ასევე მოწვეულ პერსონალად (საგანმანათლებლო პროგრამა „დიპლომირებული მედიკოსი“) კლინიკურ პოზიციაზე არჩეულ იქნა პიროვნებები, რომლებსაც იმ დროისათვის (არჩევის პროცესში) არ ჰქონდათ კლინიკური მუშაობის მინიმუმ 5 წლიანი გამოცდილება, რაც დადასტურდა ინტერვიუერების პროცესშიც;

11. რეკომენდირებულია გადაიხედოს ქუთაისის უნივერსიტეტის ვიცე-რექტორების სამუშაოს საერთო მოცულობა ორ უსდ-ში და მოხდეს მისი თანხვედრა საქართველოს შრომის კანონმდებლობასთან - ხაზგასასმელია რომ ინსტიტუციის ტოპ მენეჯმენტის (ვიცე რექტოები) უმრავლესობა დაკავებული იყო სრული განაკვეთით ორ ინსტიტუციაში ერთდროულად, (ქუთაისის უნივერსიტეტი და „ევროპის უნივერსიტეტი“). მიუხედავად იმისა, რომ თითოეულ ვიცე რექტორს ჰყავდა რამოდენიმე მასზე დაქვემდებარებული სამსახური ინსტიტუციაში, ეჭვს იწვევდა ვიცე რექტორების დატვირთვის შესაბამისობა საქართველოს შრომის კანონმდებლობასთან, ამავდროულად, სამუშაოს დიდი მოცულობიდან გამომდინარე, ვიცე-რექტორების დატვირთვის დიდი ინტენსიობა შესაძლოა უარყოფითად ასახულიყო უნივერსიტეტის მისიის მიღწევაზე. სწორად მიგვაჩნდათ, გადაიხედილიყო ქუთაისის უნივერსიტეტის ვიცე-რექტორების სამუშაოს საერთო მოცულობა ორ უსდ-ში და მომხდარიყო მისი თანხვედრა საქართველოს შრომის კანონმდებლობასთან;

12. რეკომენდებულია, დაწესებულებამ განაგრძოს ძალისხმევა საგანმანათლებლო პროგრამებში ინგლისურენოვანი კურსების ინტეგრირებისთვის.

**საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ თავიანთი პოზიცია.**

რექტორმა, გოჩა თუთბერიძემ, განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფმა გასწია ძალიან დიდი სამუშაო, რეალურად ვიზიტი მოიცავდა მონიტორინგის პროცესს, თუმცა მასალების მოცულობიდან უფრო ავტორიზაციას დაემსგავსა. მისი თქმით ვიზიტი წარიმართა კონსტრუქციულ გარემოში, ეთიკის სტანდარტების სრული დაცვით, დაწესებულება დასკვნის ძირითად ნაწილში ეთანხმება ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებას, დაწესებულებამ დიდი ნაბიჯები გადადგა, რაც დასკვნაშიც აისახა, სრულად შეცვალა ინფრასტრუქტურა, მოხდა შენობის სრული ადაპტირება, შეიცვალა ორგანიზაციულ სტრუქტურა და ახალი სტრუქტურის შესაბამისად სრულად დაკომპლექტდა ადმინისტრაციული პერსონალი, კადრების შერჩევა განხორციელდა ღია კონკურსის წესით, ჩატარდა მრავალი კონკურსი აკადემიური/მოწვეული პერსონალის შერჩევის მიზნით, რომელთა დამსახურებითაც უნივერსიტეტი დაკომპლექტდა მაღალკვალიფიციური პერსონალით, ყველა მიმართულებით, მთლიანად შეიცვალა ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა, რომელშიც არ იგულისხმებოდა მხოლოდ დოკუმენტაცია, ცვლილებები შეეხო პროცესებსა და პროცედურებსაც. უკანასკნელ პერიოდში ჩატარდა „მედიცინის“ პროგრამის აკრედიტაციის ვიზიტი, სადაც საუკეთესოს პრაქტიკაში, სწორედ ხარისხის სამსახურის მუშაობა ჩაიწერა. ჩამოყალიბდა ეფექტური მმართველი საბჭო, ფაკულტეტის საბჭოები, კოლექტიურ ორგანოებში ყველგან წარმოდგენილნი არიან დაინტერესებული მხარეები: სტუდენტები, კურსდამთავრებულები და დამსაქმებლები. ასევე, მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულებით, დაწესებულება თანამშრომლობდა 100-ზე მეტ უნივერისტეტთან, მონაწილეობდა Erasmus+-ის ორ პროექტში, სწორედ ერთ-ერთი მათგანის ფარგლებში რექტორი საბჭოს ერთვებოდა კაუნასიდან, დაწესებულებას ჰქონდა მნიშვნელოვანი გეგმები, უნივერსიტეტში შენარჩუნებულ იქნა პოზიტიური დინამიკა, რასაც მოწმობდა ბოლო პერიოდში წარდგენილი პროგრამების უპირობო აკრედიტაცია.

ვიცე-რექტორმა, სოფიო ხუნდაძემ, პირველი რეკომენდაციის (მიმართეთ ძალისხმევა სტუდენტებისთვის კვლევის ეთიკის დაცვის უზრუნველსაყოფად უნივერსიტეტში არსებული რეგულაციების გაცნობისთვის) შესახებ აღნიშნა, რომ უნივერისტეტში არსებული კვლევის ეთიკის პრინციპების გაცნობის მიზნით, რეგულარულად ტარდებოდა შეხვედრები სტუდენტებთან. შეხვედრები ორგანიზებული იყო, როგორც ფაკულტეტის ადმინისტრაციის, ასევე ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ. შეხვედრებზე ხდებოდა კვლევის ეთიკასთან დაკავშირებული იმ საკითხების გაცნობა, რაც სრულფასოვნადა იყო წარმოდგენილი ქუთაისის უნივერსიტეტის არაერთ დოკუმენტში დაწესებულებას გათვალისწინებული ჰქონდა კვლევის ეთიკის კომპონენტი შპს ქუთასის უნივერსიტეტის სამაგისტრო ნაშრომის შესრულების წესში, შპს ქუთასის უნივერსიტეტის დოქტორანტურის დებულებაში, შპს

ქუთაისის უნივერსიტეტის პლაგიატის აღმოჩენის, თავიდან აცილების, პლაგიატის შემთხვევაზე რეაგირების პროცედურებსა და მექანიზმებში. შეხვედრების დროს ასევე მუდმივად ხდებოდა სტუდენტთა ინფორმირება აღნიშნული მიმართულებით არსებული დოკუმენტების ვებ-გვერდზე ხელმისაწვდომობის შესახებ. მან აღნიშნა, რომ გარდა ზემოაღნიშნული მექანიზმებისა, როგორც სამაგისტრო ასევე სადოქტორო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამები სავალდებულო სასწავლო კომპონენტად მოიცავდა კვლევის მიმართულებით სასწავლო კურსებს, კერძოდ, სამაგისტრო საფეხურზე „სამეცნიერო კვლევის სტრუქტურა, მეთოდები და ეთიკა“, ხოლო სადოქტორო საფეხურზე „კვლევის მეთოდები ეკონომიკაში“. აღნიშნული სასწავლო კურსები უზრუნველყოფდნენ მაგისტრანტებისთვის და დოქტორანტებისთვის კვლევის ეთიკის პრინციპების გაცნობასა და მათი გამოყენების შესაბამისი უნარ-ჩვევების გამომუშავებას. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ცენტრის მიერ კვლევის ეთიკის დაცვის შესახებ ინფორმირებულობის გაზრდის მიზნით ჩატარებული ტრენინგები ადგილობრივი თუ უცხოელი ტრენერების მონაწილეობით. 2021-2022 აკადემიური წლის შემოდგომის სემესტრში ქუთაისის უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის, ასევე დოქტორანტებისთვის ჩატარებულ ონლაინ ვორქშოპს თემაზე „თვისებრივი კვლევის მეთოდები და კვლევის ეთიკა“ (ტრენინგის ხანგრძლივობა 10 საათი), რომელსაც უძღვებოდა კარდიფის მეტროპოლიტენის უნივერსიტეტის მენეჯმენტის სკოლის პროფესორი ჰიბა მასუდი. მათი მოსაზრებით, ზემოაღნიშნული ადასტურებდა უნივერსიტეტში კვლევის ეთიკის დაცვის მიმართულებით სტუდენტთა ინფორმირების მიზნით რეგულარული ხასიათის ღონისძიებებისა და აქტივობების არსებობას.

მეორე რეკომენდაციის (რეკომენდირებულია ტრეინინგები პროგრამის ხელმძღვანელებისათვის კვალიფიკაციათა ჩარჩოს შესაბამისობის დადგენის მიზნით) შესახებ მან განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტის აღწერით ნაწილში რეკომენდაციასთან დაკავშირებით არ იძებნებოდა დამატებითი განმარტება, შესაბამისად, დაწესებულებისთვის ბუნდოვანი იყო თუ რას ეხება წარმოდგენილი რეკომენდაცია. აღნიშნულიდან გამომდინარე, სასურველია ექსპერტთა ჯგუფს ზემოაღნიშნულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით წარმოედგინა დამატებითი განმარტებები და დეტალები, რაც საშუალებას მისცემდა დაწესებულებას გაეზიარებინა აღნიშნული რეკომენდაცია ან გაეცა არგუმენტირებული პასუხი, თუმცა საგანმანათლებლო პროგრამები შესაბამისობაშია „კვალიფიკაციათა ეროვნულ ჩარჩოსთან“, პროგრამის ხელმძღვანელები ინფორმირებულნი იყვნენ და გააზრებული ჰქონდათ კვალიფიკაციასთან თავიანთი პროგრამის შინაარსობრივი შესაბამისობა, შიდა რესურსებით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ტარდებოდა ტრენინგები განვითარების მიზნით, ასევე იყენებდნენ გარე რესურსებსაც, უნივერსიტეტი ჩართული იყო DAAD-ის პროექტში „Bologna Hub Peer Support“, უნივერსიტეტს მიმაგრებული ჰყავდა ბოლონიის ექსპერტი-კონსულტანტი, რომელიც კონსულტაციას უწევდა უნივერსიტეტს რამდენიმე მიმართულებით, დაწესებულებამ აირჩია სამი მიმართულება: ერთ-ერთი მათგანი იყო „საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმარება“, პროგრამის ფარგლებში ექსპერტი-კონსულტანტის მხრიდან ჩატარდა ტრენინგი პროგრამის ხელმძღვანელებისთვის თუ როგორ განევითარებინათ/შეემუშავებინათ საგანმანათლებლო პროგრამა, ასევე განიხილეს ისეთი საკითხები, როგორებიცაა სწავლის შედეგების ჩამოყალიბება/ფორმირება და ა.შ., ამ მიმართულებით დაწესებულება ზრუნავდა, თუმცა რეკომენდაციის დასაზუსტებლად კიდევ ერთხელ მიმართა ექსპერტთა ჯგუფს.

მესამე რეკომენდაციის (რეკომენდირებულია კურსდამთავრებულების ჩართულობა პროგრამების მოდიფიცირების პროცესში) შესახებ, მან განახადა, რომ შემუშავება და განვითარება ურთიერთანამშრომლობითი პროცესი იყო და მასში მონაწილეობს ყველა ის მხარე (აკადემიური/მოწვეული პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები, პროფესიული ასოციაციები), რომელიც უზრუნველყოფდა შედეგზე ორიენტირებული საგანმანათლებლო პროგრამების შექმნას, მათ ეგზავნებოდათ კითხვარები და მასთან ერთად დამატებითი მასალა: პროგრამის სასწავლო გეგმა, მიზნები და შედეგები, დაინტერესებული

პირები საკმაოდ სიღრმისეულად აფასებდნენ საგანმანათლებლო პროგრამებს, ხდებოდა მათი მიღებული შედეგების გაანალიზება/გათვალისწინება, რის შესახებაც დაწესებულებამ კონკრეტული მაგალითები წარადგინა არგუმენტირებულ პოზიციაში, რომელი კონკრეტული პროგრამის ფარგლებში რა რეკომენდაციების გათვალისწინება მოხდა. ასევე, დაწესებულებაში დამკვიდრებული იყო პრაქტიკა, რომ როდესაც არ ჰყავდათ კურსდამთავრებული გამოეკითხათ სხვა უნივერსიტეტის ანალოგიური პროგრამის კურსდამთავრებულები, რისი დამადასტურებელი დოკუმენტებიც ჰქონდა დაწესებულებას, ორი პროგრამის ფარგლებში: „დიპლომირებული მედიკოსის“ და „სამართლის“ საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში, რომელიც ბოლო პერიოდში შემუშავდა და ელოდებოდნენ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტს, აღნიშნული ორი პროგრამის ფარგლებში გამოიკითხა სხვა უნივერსიტეტის ანალოგიური პროგრამის კურსდამთავრებულები და მათი მხრიდან შეფასდა პროგრამა შინაარსობრივად, რის შესახებაც ასევე წარმოდგენილი იყო მაგალითები არგუმენტირებულ პოზიციაში. კურსდამთავრებულები ასევე ერთვებოდნენ სწავლის შედეგების არაპირდაპირი შეფასების პროცესშიც, შემუშავებული იყო კითხვარი, რომლის მეშვეობითაც კურსდამთავრებულები აფასებდნენ თუ რამდენად იყვნენ კმაყოფილები პროგრამის ფარგლებში მიღებული ცოდნით და დასაქმებით პროგრამის დასრულების შემდეგ. გაწერილი იყო სამიზნე ნიშნულები და დაწერილი იყო ანგარიშები, სადაც წარმოდგენილი იყო მათი ან კმაყოფილება ან რეკომენდაციები, ჩატარებული გამოკითხვების, განხორციელებული ანალიზების მტკიცებულებები ჰქონდათ და ანგარიშები, სადაც კონკრეტული მაგალითები იყო გაწერილი, თუ რა რეკომენდაციები გაითვალისწინეს კურსდამთავრებულებისგან. მისი თქმით, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის აღწერით ნაწილში რეკომენდაციის საფუძვლად აღნიშნული იყო ერთ-ერთი კურსდამთავრებულის მიერ დაფიქსირებული რეკომენდაცია მწვანე ეკონომისკასთან დაკავშირებული საკითხების აბსოლუტურად ყველა სასწავლო კურსში შეტანასთან დაკავშირებით, აქვე აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ გამოკითხვა იყო ნებაყოფლობითი და შესაძლებელია იმ კურსდამთავრებულმა არ მიიღო მონაწილეობა გამოკითხვის პროცესში, ან შესაძლებელია დაფიქსირებული რეკომენდაცია არ ჩაითვალა მიზანშეწონილად პროგრამის ხელმძღვანელის და პროგრამაზე მომუშავე კომიტეტის ჯგუფის მიერ, შესაბამისად გადაწყვეტილება იმის შესახებ გაცემულიყო თუ არა რეკომენდაცია უფრო მეტად დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის საფუძველზე უნდა მომხდარიყო, ვიდრე აღნიშნული ერთი სტუდენტის მხრიდან დაფიქსირებული რეკომენდაციის საფუძველზე.

მეშვიდე რეკომენდაციის (რეკომენდირებულია „დიპლომირებული მედიკოსის“ პროგრამაში სწავლის შედეგების სამიზნე ნიშნულების განსაზღვრა) შესახებ მან განაცხადა, რომ უნივერსიტეტს არა მხოლოდ აღნიშნული, არამედ ყველა პროგრამის ფარგლებში ჰქონდა განსაზღვრული სწავლის შედეგების შეფასების სამიზნე ნიშნულები, შემუშავებული იყო სწავლის შედეგების შეფასების მეთოდოლოგია, რომლის მიხედვითაც უნივერსიტეტი ყველა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის შედეგების შეფასებას ახდენდა ორი მეთოდის გამოყენებით შედეგების შეფასების პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდების გამოყენებით, პირდაპირ მეთოდებში მოიაზრებოდა აკადემიური მოსწრების ანალიზი, სადაც ჰქონდათ კონკრეტული სამიზნე ნიშნულები განსაზღვრული, ეს იყო სამი წლის დინამიკაში დაკვირვების შედეგად ერთიდაიგივე სასწავლო კურსში შეფასება A-ს მიღება 10%-ზე მეტი სტუდენტის მიერ ჯგუფში და შეფასება F-ის მიღება, ასევე, 10%-ზე მეტის მიერ ჯგუფში. არაპირდაპირ შეფასებაში მოიაზრებოდა კურსდამთავრებულთა მიერ პროგრამის შეფასებასა და მათ კმაყოფილებას მიღებული შედეგებით, სადაც ასევე განსაზღვრული იყო სამიზნე ნიშნულები და თუ გამოკითხვის შედეგად 30%-ზე მეტი, დაასახელებდა, რომ უკმაყოფილო იყო მიღებული შედეგებით დაწესებულების წარმომადგენლები იკვლევდნენ საკითხს და დგებოდა რეაგირების საჭიროება, აღნიშნული სამიზნე ნიშნულების დასახელების, აცდენისა და იდენტიფიცირების შემთხვევაში, დაწესებულება ამბობდა, რომ უნდა მომხდარიყო საკითხის სიღრმისეული შესწავლა და რეაგირება, ის რომ სამიზნე ნიშნულები ქმედითი იყო, დაწესებულება ამას

ასრულებდა და აკვირდებოდა, ამის ყველანაირი დოკუმენტი არსებობდა, გასულ აკადემიურ წელს განხორციელდა ყველა საგანმანათლებლო პროგრამაზე, დაწესებულებას ასევე ჰქონდა დამადასტურებელი ანალიზი და შედეგების ანგარიშები.
მეათე რეკომენდაციის (რეკომენდირებულია ინსტიტუციამ აკადემიური პერსონალის შერჩევისას გაითვალისწინოს საუნივერსიტეტო, საკანონდებლო რეგულაციები და დარგობრივი დოკუმენტის მოთხოვნები (მედიცინის საგანმანათლებლო პროგრამისათვის)) შესახებ მან აღნიშნა, რომ 2018 წელს იყო ფაქტები, როდესაც მუშავდებოდა „დიპლომირებული მედიკოსის“ საგანმანათლებლო პროგრამა, იმ ეტაპზე იყო ფაქტები, როდესაც დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნა იყო დარღვეული, მნიშნველოვანი იყო აღნიშნულიყო ფაქტი, რომ მოცემულ მომენტში ყველა უზუსტობა გასწორებული იყო და ვიზიტის მომენტშიც გასწორებული იყო, როდესაც „დიპლომირებული მედიკოსის“ საგანმანათლებლო პროგრამის განახლებაზე მიმდინარეობდა საუბარი, მნიშვნელოვნად განახლდა პროგრამა, დაწესებულებამ დააიდენტიფიცირა საკითხები და ორი მიმართულებით გადადგა ნაბიჯი, დააკვირდა რამდენად ხდებოდა მოცემულ მომენტში დარგობრივი სტანდარტის მოთხოვნების შესრულება და თუ მოცემულ მომენტში სრულდებოდა შეინარჩუნეს პერსონალი, თუ არ სრულდებოდა მოხდა თანამშრომლობის შეწყვეტა, დაფიქსირებული იყო ფაქტები, რომლებიც დაწესებულებამ აღმოაჩინა და გამოასწორა, აღნიშნულ მომენტში ყველა საგანმანათლებლო პროგრამა ასრულებდა, როგორც შიდა რეგულაციებს, ასევე დარგობრივი დოკუმენტის მოთხოვნებს.
მეთორმეტე რეკომენდაციის (რეკომენდირებულია დაწესებულებამ განაგრძოს ძალისხმევა საგანმანათლებლო პროგრამებში ინგლისურენოვანი კურსების ინტეგრირებისთვის) შესახებ მან განაცხადა, რომ დაწესებულება გადადგმული ჰქონდა საკმაოდ დიდი ნაბიჯები გადაიდგა აღნიშნული მიმართულებით, აღნიშნულია ყველა განახლებულ/ახალ შექმნილ პროგრამაში, სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსები შემუშავებულია უცხოენოვანი ლიტერატურის გამოყენებით. ამასთან, სასწავლო კურსების უმრავლესობის შინაარსი ითვალისწინებს მაღალრეიტინგული ინგლისურენოვანი სამეცნიერო ხასიათის სტატიების და მონოგრაფიების დამუშავებასა და გარჩევას. სასწავლო კურსების წამყვანი აკადემიური და მოწვეული პერსონალი, ძირითადად, ინგლისური ენის მცოდნე პერსონალი იყო. პროგრამის თანახელმძღვანელი იყო უცხოელი პროფესორი და დოქტორანტებს სასწავლო გეგმის გათვალისწინებით შეთავაზებული ჰქონდათ ერთი ინგლისურენოვანი არჩევითი სასწავლო კურსი „ევროპის რეგიონალური და სოციალური პოლიტიკა“. ამასთან, „ეკონომიკის“ საბაკალავრო, „ფინანსების და საბუღალტრო აღრიცხვის და აუდიტის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში სავალდებულო ლიტერატურად გამოიყენებოდა ინგლისურენოვანი სახელმძღვანელოები. ბოლო პერიოდში კი მუშაობა მიმდინარეობდა ზემოაღნიშნულ პროგრამებში ინგლისურენოვანი სასწავლო კურსების დამატებაზე. ახლად შემუშავებული „სამართლის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, რომელიც წარდგენილი იყო „სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში“ სააკრედიტაციოდ, გათვალისწინებული იყო არაერთი ინგლისურენოვანი სასწავლო კურსის არჩევის შესაძლებლობა. მისი თქმით, ქუთაისის უნივერსიტეტი „დიპლომირებული მედიკოსის“ ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამას ახორციელებდა ინგლისურ ენაზე. ამდენად დაწესებულება ზრუნავდა საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში სტუდენტთა ინგლისური ენის კომპეტენციის გაძლიერებაზე სხვადასხვა მიმართულებით, მათ შორის სათანადო წინაპირობის გათვალისწინებით სხვადასხვა სასწავლო კურსში ინგლისურენოვანი ლიტერატურის გამოყენებითა და საგანმანათლებლო პროგრამებში ინგლისურენოვანი სასწავლო კურსების არჩევის შესაძლებლობების შექმნით. შესაბამისად მიაჩნდათ, რომ დაწესებულება აღნიშნული ფაქტებითა და მტკიცებულებებით ცალსახად ადასტურებდა, რომ ზრუნავდა და განაგრძობდა მუშაობას საგანმანათლებლო პროგრამებში ინგლისურენოვანი კომპონენტების გაძლიერების მიმართულებით. ამდენად თვლიდნენ, რომ რეკომენდაციაში დაფიქსირებული საკითხი შესაძლებელი იყო მხოლოდ რჩევის ხასიათის ყოფილიყო, რადგანაც დაწესებულება თავად იაზრებდა და განაგრძობდა აღნიშნული მიმართულებით მუშაობას.

ვიცე-რექტორმა, ნინო ტალიაშვილმა, მეთერთმეტე რეკომენდაციის (რეკომენდირებულია გადაიხედოს ქუთაისის უნივერსიტეტის ვიცე-რექტორების სამუშაოს საერთო მოცულობა ორ უსდ-ში და მოხდეს მისი თანხვედრა საქართველოს შრომის კანონმდებლობასთან) შესახებ განაცხადა, რომ რეკომენდაციასთან დაკავშრებით დაწესებულების პოზიციას წარმადგენდა ორი მიმართულებით:

1. უნდა გადაიხედოს ქუთაისის უნივერსიტეტის ვიცე-რექტორების სამუშაოს საერთო მოცულობა ორ უსდ-ში და მოხდეს მისი თანხვედრა საქართველოს შრომის კანონმდებლობასთან;

2. დასკვნის აღწერით ნაწილში ვკითხულობთ, რომ სამუშაოს დიდი მოცულობიდან გამომდინარე, ვიცე-რექტორების დატვირთვის დიდი ინტენსიობა შესაძლოა უარყოფითად აისახოს უნივერსიტეტის მისიის მიღწევაზე.

1. საქართველოს შრომის კოდექსის 24-ე მუხლის თანახმად ნორმირებული სამუშაო დროის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 40 საათს. აქ საუბარი იყო ერთ დამსაქმებელთან 40 საათიან სამუშაო დროზე, ვინაიდან 40 საათზე ზემოთ ნამუშევარი პერიოდი მიიჩნევა ზეგანაკვეთურ სამუშაოდ. ამავე კოდექსის მე-16 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად „დასაქმებულის უფლება, დასაქმდეს ერთზე მეტ სრულ ან არასრულ სამუშაო განაკვეთზე, შრომითი ხელშეკრულებით შეიძლება შეიზღუდოს, თუ პირი, რომლისთვისაც უნდა შესრულდეს შეთავსებითი სამუშაო, დამსაქმებლის კონკურენტია“. ამდენად, შრომის კოდექსი დასაქმებულს დამსაქმებლის თანხმობის შემთხვევაში ანიჭებდა უფლებას დასაქმებულიყო ერთზე მეტ, როგორც სრულ, ასევე არასრულ სამუშაო განაკვეთზე. შრომის კოდექსმა დამსაქმებელს მიანიჭა დისკრეცია თავად გადაეწყვიტა შეუზღუდავდა, თუ არა დასაქმებულის სხვა დაწესებულების სასარგებლოდ სამუშაოს შესრულებას. ხაზგასასმელია ის გარემოებაც, რომ ვიცე-რექტორები ქუთაისის უნივერსიტეტში დასაქმებულები იყვნენ არასრულ სამუშაო განაკვეთზე, კვირაში 20 საათი, რაც „ევროპის უნივერსიტეტის“ ხელმძღვანელობისთვის მისაღებია. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შრომის კოდექსში არ არსებობდა ამკრძალავი ნორმა, რომელიც დასაქმებულს უზღუდავდა რამდენიმე დამსაქმებელთან შრომით ურთიერთობას და უდგენდა საერთო საათობრივ ლიმიტს ორ დამსაქმებელთან შრომითი ურთიერთობის არსებობის შემთხვევაში. საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ კერძო სამართალში მოქმედებდა პრინციპი, რომლის თანახმადაც, რაც კანონით აკრძალული არ იყო, ყველაფერი ნებადართული იყო. ამდენად, დაწესებულება ვერ იზიარებდა ექსპერტთა რეკომენდაციას სამუშაო დატვირთვის შრომის კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანის შესახებ.

2. რაც შეეხება ვიცე-რექტორების დიდი მოცულობის სამუშაოს უარყოფით გავლენას უნივერსიტეტის მისიის მიღწევაზე, მან განმარტა, რომ 2020 წლიდან „ევროპის უნივერსიტეტის“ ტოპ მენეჯმენტი გაზიარდა ქუთაისის უნივერსიტეტში სწორედ იმის გამო, რომ ორივე უნივერსიტეტში გატარდეს ერთიანი პოლიტიკა, როგორც ადამიანური რესურსების, ასევე ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებისა და სასწავლო პროცესის ადმინისტრირების კუთხით. ორივე უნივერსიტეტში არსებობდა თითქმის იდენტური სტრუქტურა და მსგავსი ბიზნეს პროცესები. საქმისწარმოება მიმდინარეობდა ელექტრონულად, რაც კიდევ უფრო აადვილებდა კოორდინაციას. პერსონალი ხელმძღვანელობდა ერთნაირი მარეგულირებელი დოკუმენტაციით. თითოეულ სტრუქტურულ ერთეულს ჰყავდა ხელმძღვანელი, რომელიც პასუხისმგებელი იყო სამსახურის კომპეტენციას მიკუთვნებული საკითხების შესრულებაზე, ხოლო ვიცე-რექტორების მიერ ხდებოდა პროცესების კოორდინირება, შესრულებული სამუშაოს შეფასება და მნიშვნელოვანი საკითხების შეთანხმება. ყოველივე ზემოაღნიშნული მნიშვნელოვნად ამარტივებდა უნივერსიტეტების მართვას. დაწესებულებების ეფექტიანი მართვა დასტურდებოდა „ევროპის უნივერსიტეტის“ შემთხვევაში 2021 წელს მიღებული უპირობო ავტორიზაციით და არაერთი საგანმანათლებლო პროგრამის უპირობო აკრედიტაციით, ხოლო ქუთაისის უნივერსიტეტის შემთხვევაში კი მონიტორინგის ფარგლებში გაკეთებული დადებითი შეფასებით, რომელიც ადასტურებდა 2020 წლამდე არსებული რეკომენდაციების შესრულების ფაქტს, ასევე, სადოქტორო პროგრამის უპირობო

აკრედიტაციით და ა.შ. ვიზიტის დროს დადასტურდა უნივერსიტეტში მიმდინარე პროცესებში ვიცე-რექტორების აქტიური ჩართულობაც. ევროპისა და ქუთაისის უნივერსიტეტების დამფუძნებელი მიიჩნევდა, რომ დაწესებულებებისა და სასწავლო პროცესის ეფექტური მართვისთვის მნიშვნელოვანი იყო ტოპ მენეჯმენტის ორივე უნივერსიტეტში გაზიარება. ამასთან, იხელმძღვანელოს საქართველოს ორი საკმაოდ წარმატებული უნივერსიტეტის გამოცდილებით, რომელთაც ერთი და იგივე მენეჯმენტი ჰყავდათ. მათი მოსაზრებით, სწორედ ზემოაღნიშნულმა მიდგომამ განაპირობა ქუთაისის უნივერსიტეტში მნიშვნელოვანი ცვლილებები და დადებითი შედეგები.

„დიპლომირებული მედიკოსის“ ერთსაფეხურიანი (ინგლისურენოვანი) საგანმანათლებლო პროგრამის თანა ხელმძღვანელმა, თინათინ გოგნაძემ, მეოთხე რეკომენდაციის (რეკომენდირებულია პროგრამაში „სამკურნალო საქმე“ რიგი სასწავლო კურსების დაშვების წინაპირობების დაკორექტირება და მათი ლოგიკური ბმა კურსის შინაარსთან) შესახებ განაცხადა, რომ აღნიშნული რეკომენდაციის ქუდის ქვეშ იყო რამდენიმე სასწავლო კურსის მიმართულება, „ზოგიერთ სილაბუსში (განსაკუთრებით საბაზისო დონეზე) ხდება საკითხების გამეორება (სასიცოცხლო ფუნქციების შეფასება, ინტრავენური კათეტერიზაცია, გულის აუსკულტაცია, ფილტვების აუსკულტაცია, შარდის ბუშტის კათეტერიზაცია და ა.შ.)“, რომლებიც არის ის კლინიკური მანიპულაციები, რომლებიც რამდენიმე სასწავლო კურსში, პროგრამის ფარგლებში მეორდებოდა, თუმცა აღნიშნული სასწავლო შედეგი, საუბარი იყო მეექვსე შედეგზე, ყველა სასწავლო კურსში ფიქსირდებოდა სხვადასხვა ხარისხის მიღწევით, მაგ., სასწავლო კურსი „კლინიკური და პროფესიული უნარები III“ გადიოდა გაცნობის დონეზე, თუმცა მეშვიდე, მერვე, მეცხრე სასწავლო კურსებში გადიოდა სრულყოფაზე, პროგრამის საგანმანათლებლო პროგრამის დანართი №2 - საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების რუკაში გაწერილი იყო შედეგების ხარისხობრივი მიღწევა, ასევე მეორდებოდა ამავე რეკომენდაციის ქვეშ გაწერილი იყო - „მკურნალობის დროს იყენებს ეთიკურ პრინციპებსა და ანალიტიკურ უნარებს“ და სტუდენტი ეფექტურად ამყარებს კომუნიკაციას პაციენტთან, აღნიშნული სწავლის შედეგი გაწერილია სასწავლო კურსში „კლინიკური და პროფესიული უნარები II-დან“, რაც გულისხმობდა, რომ აღნიშნული ისწავლებოდა მეორე სემესტრიდან, აღნიშნული კი შედეგი მეორდებოდა ზედა სასწავლო კურსებშიც. პროგრამა ითვალისწინებდა შემდეგ სასწავლო კურსებს: „ბიოეთიკა“ ან „ეთიკის საფუძვლები“ და „კომუნიკაცია ჯანდაცვაში“, რაც თავისი შინაარსობრივი თემატიკიდან გამომდინარე განსხვავდებოდა ერთმანეთისგან, მაგ., „კლინიკური და პროფესიული უნარები II-ში“ გაწერილი იყო, რომ ისწავლებოდა მეორე სემესტრში, მაშინ, როდესაც ძირითადად განხილულია ქირურგიული უნარები: სისხლდენის შეჩერება, მარტივი ჭრილობის დამუშავება, ამ დროსაც სტუდენტი საჭიროებდა ჰქონოდა ეთიკური ნორმების ცოდნა, შესაბამისი კომუნიკაციის დამყარების უნარი პაციენტთან, რაც გადიოდა სხვა დონეზე და არა სრულყოფაზე, რომელზეც შემდეგ სასწავლო კურსებში გადადიოდა. ასევე იყო კომუნიკაციაზეც, იწყება მესამე სემესტრიდან და გრძელდებოდა სხვადასხვა ჭრილში, სადაც იგულისხმებოდა, როგორც პაციენტის კომუნიკაცია, ასევე სხვადასხვა დონეზე კომუნიკაცია, ეს დონეც თავისი შედეგების მიღწევის დონით ასახული იყო მეორე დანართში. ამავე რეკომენდაციის ქვეშ იყო „კლინიკური რადიოლოგიის“ წინაპირობის საკითხი, რომელიც განისაზღვრა სასწავლო კურსით „ტვინი, გონება და ქცევა“- მაშინ როცა კურსის თემატიკა გაცილებით ფართო იყო და მოიცავდა სხვა სისტემების რადიოლოგიური კვლევების შესწავლას. მაგ., ბრონქო-პულმონური სისტემის რენტგენოლოგიური (რენდგენოსკოპია, რენტგენოგრაფია, ტომოგრაფია, კომპიუტერული ტომოგრაფია, ბრონქოგრაფია) კვლევის ძირითადი და სპეციალური მეთოდები და სხვა’’. მნიშვნელოვანი იყო, აღინიშნულიყო, რომ „დიპლომირებული მედიკოსის“ საგანმანათლებლო პროგრამის პირველი ფაზა მოიცავდა (I-II წელი) ძვალსახსროვანი, გულ-სისხლძრღვთა, რესპირატორული, საჭმლის მომნელებელი, ენდოკრინული და შარდ-სასქესო სისტემის ანატომიის, ჰისტოლოგია/ემბრიოლოგიის და რადიოლოგიის საკითხებს, შესაბამისად, სტუდენტს აძლევდა ცოდნას აღნიშნული სისტემების აგებულების, ფუნქციონირებისა და

რადიოლოგიური სურათის შესახებ. აღნიშნული საკითხები შეისწავლებოდა სასწავლო კურსებში: „ადამიანის სხეული I, II, III," და „ტვინი, გონება და ქცევა", რომლებიც თანმიმდევრობით წარმოადგენდნენ ერთმანეთის წინაპირობას. ყოველივე ამის გათვალისწინებით, მაშინ, როდესაც სტუდენტი ყველა წინაპირობის დაცვით დაიწყებდა სასწავლო კურსს „ტვინი, გონება, ქცევა" (განხილული თემატიკა: ნეიროანატომია, ნეიროფიზიოლოგია, რადიოლოგია) მას უკვე შესწავლილი ჰქონდა ბრონქო-პულმონური სისტემის რენტგენოლოგიური (რენდგენოსკოპია, რენტგენოგრაფია, ტომოგრაფია, კომპიუტერული ტომოგრაფია, ბრონქოგრაფია) არსი და გამოყენების შესაძლებლობები. შესაბამისად დაწესებულების წარმომადგენლებს მიაჩნდათ, რომ წინაპირობები დაცული იყო ლოგიკური თანმიმდევრობით. დასკვნის პროექტის აღწერით ნაწილში, ასევე, ნახსენები იყო „სასწავლო კურსის „გადაუდებელი მედიცინა და ინტენსიური თერაპია I" წინაპირობას წარმოადგენს „შინაგანი მედიცინა II", (რომელშიც დაინტეგრირებულია გასტროენტეროლოგია, ჰეპატოლოგია, ენდოკრინული და მეტაბოლური დარღვევები), მაშინ როდესაც კურსის „გადაუდებელი მედიცინა და ინტენსიური თერაპია I" განხილული თემატიკა იყო: გადაუდებელი მდგომარეობები ორთოპედიაში, გულ-სისხლძარღვთა, რესპირაციული სისტემის გადაუდებელი მდგომარეობები და სხვა". საგულისხმო იყო, რომ სასწავლო კურსი „გადაუდებელი მედიცინა და ინტენსიური თერაპია I" გარდა განხილული თემატიკისა: გულ-სისხლძარღვთა, რესპირაციული სისტემის გადაუდებელი მდგომარეობები (აღნიშნული თემატიკა იფარება სასწავლო კურსში „შინაგანი მედიცინა I", სადაც ინტეგრირებული იყო კარდიოლოგია, პულმონოლოგია და ნეფროლოგია), აგრეთვე მოიცავს გადაუდებელ მდგომარეობას ენდოკრინოლოგიაში, საჭმლის მომნელებელი სისტემის გადაუდებელ მდგომარეობებს, გადაუდებელ მდგომარეობებს მეტაბოლიზმის დარღვევის დროს. აღნიშნულ თემატიკას სტუდენტი ფარავს სასწავლო კურსში „შინაგანი მედიცინა II", სადაც ინტეგრირებული იყო გასტროენტეროლოგია, ჰეპატოლოგია, ენდოკრინული და მეტაბოლური დარღვევები. აქედან გამომდინარე ლოგიკურად მიგვაჩნია სასწავლო კურსის „გადაუდებელი მედიცინა და ინტენსიური თერაპია I" წინაპირობად განსაზღვრული იყოს „შინაგანი მედიცინა II". დასკვნის პროექტის აღწერით ნაწილში განმარტებული იყო, რომ „სასწავლო კურსი „შინაგანი მედიცინა II" (გასტროენტეროლოგია, ჰეპატოლოგია, ენდოკრინული და მეტაბოლური დარღვევები) დაშვების წინაპირობა არის სასწავლო კურსი „შინაგანი მედიცინა I" (კარდიოლოგია პულმონოლოგია ნეფროლოგია); იგივე პრობლემაა „შინაგანი მედიცინა III" (რევმატოლოგია კლინიკური იმუნოლოგია ალერგოლოგია დერმატოლოგია) დაშვების წინაპირობაში, რომელიც წარმოდგენილია კურსით „შინაგანი მედიცინა II (გასტროენტეროლოგია, ჰეპატოლოგია, ენდოკრინული და მეტაბოლური დარღვევები)" და ა.შ.". ამ შემთხვევაშიც მნიშვნელოვანი იყო, იმის ხაზგასმა, რომ „დიპლომირებული მედიკოსის" პროგრამაში სასწავლო კურსი „შინაგანი მედიცინა" იყო ხუთ ნაწილად გაყოფილი, თუმცა სასწავლო კურსი აღიქმებოდა ერთ მთლიან სტრუქტურად და მნიშვნელოვანი იყო მათი თანმიმდევრობით გავლა ყოველი შემდეგი სასწავლო კურსის შედეგების სათანადოდ მიღწევისთვის. თითოეული მოდულის თემატიკის და სწავლის შედეგებიდან გამომდინარე. დაწესებულების წარმომადგენელთა მოსაზრებით, წინაპირობები შინაარსის გათვალისწინებით, თანმიმდევრულად და სწორად იყო მოცემული და უზრუნველყოფდა საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგის გონივრული თანმიმდევრობით მიღწევას. რეკომენდაციასთან დაკავშირებით დასკვნის პროექტის აღწერით ნაწილში განხილული იყო შემდეგი მოსაზრება - „გადასახედია სასწავლო კურსის სწავლის შედეგებისა და თემატიკების შესაბამისობა ზოგიერთ სილაბუსებში, ასე მაგალითად: სასწავლო კურსში „სამეცნიერო მსჯელობა" მისაღწევი შედეგი არის „აკადემიურ დონეზე წერს მიმოხილვებს/მოხსენებებს" - მაშინ, როდესაც შესასწავლი საკითხები არ მოიცავს აკადემიური წერის თემატიკას, შესაბამისად არც სასწავლო კურსით განსაზღვრული შეფასების მეთოდებით არაა შესაძლებელი შედეგის დადგომა". აღსანიშნავი იყო, რომ სასწავლო კურსი „სამეცნიერო მსჯელობა 2" მოიცავდა შემდეგ შესასწავლ თემატიკას: მეთოდოლოგიური ორიგინალური სამეცნიერო სტატიის შექმნის

ალგორითმი, სამეცნიერო დებატები, მონაცემის რეზუმირება, პოსტერი, სლაიდი. აღნიშნული თემატიკის შესაბამისად სტუდენტს ეძლეოდა შესაძლებლობა მიეღწია ზემოაღნიშნული შედეგისთვის, ხოლო რაც შეეხებოდა შედეგის შეფასებას, მიღწეული შედეგი სასწავლო კურსის ფარგლებში ფასდებოდა შემდეგი შეფასების მეთოდებით: პრეზენტაცია და ესსე. აღწერით ნაწილში აღწერილია მოსაზრება სხვა სასწავლო კურსებთან დაკავშირებითაც: „სასწავლო კურსში „კლინიკური რადიოლოგია“- სწავლის შედეგის (აკეთებს რადიოლოგიური კვლევის პროცედურებს) მიღწევის შესაძლებლობა ვერ დასტურდება ამავე სილაბუსში წარმოდგენილი ვერცერთი შეფასების მეთოდით“. ხაზგასასმელი იყო, გარემოება, რომ კლინიკური რადიოლოგიის შესასწავლი თითოეული თემატიკა მოიცავდა მისი შესაბამისი პრაქტიკული უნარების გამომუშავებას, ანუ შესაბამისი კვლევის გაკეთებას, აღნიშნული შედეგის შეფასების მიზნით კი სასწავლო კურსით გათვალისწინებული იყო OSPE-ის ტიპის გამოცდა, რომელიც იძლეოდა სტუდენტის პრაქტიკული უნარების შეფასების შესაძლებლობას. დასკვნის პროექტის აღწერით ნაწილში გამოთქმულ მოსაზრებასთან „სასწავლო კურსში „ინფექციური დაავადებები I“- სასწავლო კურსის სწავლის შედეგის (აღწერს ინფექციის კონტროლის მოთხოვნებს პაციენტების მკურნალობისას) მიღწევა ვერ დასტურდება ვერც შესასწავლი თემატიკითა და ვერც შეფასების კრიტერიუმებით“ დაკავშირებით პროგრამის ხელმძღვანელმა განმარტა, რომ სასწავლო კურსის შინაარსით გათვალისწინებული თითოეული თემატიკა დაკავშირებული იყო დასახელებულ სწავლის შედეგთან და გულისხმობდა აღნიშნული შედეგის მიღწევას. რაც შეეხებოდა შეფასებას, შედეგი ფასდებოდა ისეთი შეფასების მეთოდებით, როგორიც იყო, კლინიკური შემთხვევის განხილვა, პრაქტიკული აქტივობები და ა.შ. იქედან გამომდინარე, რომ დასახელებული სწავლის შედეგი აღწერდა სტუდენტის ცოდნას, მისი შეფასება შესაძლებელი იყო შეფასების, თუნდაც ისეთი მეთოდებით როგორიც იყო ზეპირი გამოკითხვა და ღია ტიპის, მოკლე კითხვები. ყოველივე ზემოაღნიშნული სრულად იძლეოდა დასახელებული შედეგის მიღწევისა და შემდეგ ამ შედეგის შეფასების შესაძლებლობას. რეკომენდაციასთან დაკავშირებით დამატებით განმარტებული იყო - „დასაზუსტებელია შესასწავლი საკითხების მნიშვნელობა/არსი რიგ სასწავლო კურსებში, მაგალითად რას მოიცავს საკითხი ინტრაოპერაციული მართვა (კლინიკური და პრაქტიკული უნარები XI). ვინაიდან „დიპლომირებული მედიკოსის“ საგანმანათლებლო პროგრამა ინგლისურენოვანი იყო, საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსები შედგენილი იყო ინგლისურენოვანი ლიტერატურის მიხედვით. ქართულენოვან სილაბუსებში კი გათვალისწინებული იყო შესაბამისი თარგმანები, ტერმინები, რომლებიც პრაქტიკაში გამოიყენებოდა და დამკვიდრებული იყო. ტერმინი ინტრაოპერაციული ქართულად თარგმნის არტეფაქტს ნიშნავდა.

დაწესებულების წარმომადგენელმა წაიკითხა მეხუთე რეკომენდაცია (რეკომენდირებულია „სამკურნალო საქმე“ ზოგიერთი სილაბუსების დაკორექტირება, კერძოდ: ინტეგრაციის, საათების (საკონტაქტო, დამოუკიდებელი).

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ჯილდა ჭეიშვილმა შეაწყვეტინა დაწესებულების წარმომადგენელს, რადგან მისი მოსაზრებით დაწესებულებას არ ჰქონდა მიღებული დასკვნის საბოლოო ვერსია, რადგან ექსპერტთა ჯგუფმა დაწესებულების მიერ არგუმენტირებული პოზიციის წარდგენის შემდეგ დააკორექტირა რეკომენდაციები და მხოლოდ ის რეკომენდაციებია გაცემული, რომლებიც ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ გააჟღერა თავისი მოხსენებისას. მისი მოსაზრებით დაწესებულების წარმომადგენელი კითხულობდა დასკვნის პროექტს, რასაც შესაძლებელია ისეთი საკითხები წამოეწია, რომლებიც ექსპერტთა ჯგუფმა უკვე განიხილა. მისი თქმით, მედიცინასთან დაკავშირებული პირველი რეკომენდაცია იყო - რეკომენდირებულია პროგრამაში „დიპლომირებული მედიკოსი “რიგი სასწავლო კურსების დაშვების წინაპირობების დაკორექტირება და მათი ლოგიკური ბმა კურსის შინაარსთან, რომელიც უკვე განიხილეს, შემდეგი იყო - რეკომენდირებულია „დიპლომირებული მედიკოსი“ ზოგიერთი სილაბუსების დაკორექტირება, კერძოდ: საათების (საკონტაქტო, დამოუკიდებელი) გადანაწილება სასწავლო კურსების სპეციფიკიდან გამომდინარე.

„დიპლომირებული მედიკოსის“ ერთსაფეხურიანი (ინგლისურენოვანი) საგანმანათლებლო პროგრამის თანახელმძღვანელმა, თინათინ გოგნაძემ, ზემოაღნიშნულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით, განაცხადა, რომ დასკვნის პროექტის აღწერით ნაწილში საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების თანაფარდობასთან დაკავშირებით გვხვდებოდა შემდეგი განმარტება: „გადასახედია საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების შეფარდება ზოგიერთ სილაბუსებში, ასე მაგალითად: სასწავლო კურსში „კლინიკური დიაგნოსტიკის შესავალი I - ფიზიკური დიაგნოსტიკა“ (V სემესტრი) - ასახულია საკონტაქტო საათების მცირე რაოდენობა (81 სთ) დამოუკიდებელ სამუშაოსთან მიმართებაში (219 სთ), მაშინ როდესაც სასწავლო კურსი ორიენტირებული იყო პრაქტიკული უნარების გამომუშავებაზე და მოიცავდა სხვადასხვა კლინიკურ აქტივობებს (ინსპექცია, პერკუსია, პალპაცია, აუსკულტაცია და სხვ.), რომელიც საჭიროებდა მეტ პრაქტიკულ/კლინიკურ მეცადინეობებს თეორიულთან შედარებით. იგივე შეიძლება ეთქვათ სასწავლო კურსზე „კლინიკური დიაგნოსტიკის შესავალი II“ (საკონტაქტო საათებისა და დამოუკიდებელი სამუშაოს შეფარდებაა 96/204)“. მათ სურდათ აეღნიშნათ, რომ სასწავლო კურსში „კლინიკური დიაგნოსტიკის შესავალი I“ საკონტაქტო საათების, კერძოდ ლექცია/პრაქტიკული მეცადინეობის საათების თანაფარდობა იყო შემდეგი: 15 სთ/60 სთ., რაც ნიშნავდა, რომ სასწავლო კურსის ფარგლებში კვირაში ლექციისთვის დათმობილი იყო ერთი საათი, ხოლო პრაქტიკული მეცადინეობისთვის - 4 საათი. აღნიშნული იძლეოდა სრულფასოვან შესაძლებლობას სტუდენტს განახორციელებინა სასწავლო კურსით გათვალისწინებული კლინიკური აქტივობები და გამოემუშავებინა ის უნარ-ჩვევები, რომელიც გათვალისწინებული იყო სასწავლო კურსის შედეგებით/შინაარსით, ასევე საგულისხმო იყო, რომ დამოუკიდებელი მუშაობისთვის დათმობილი დრო წარმოადგენდა გონივრულ ვადას, იმისთვის, რომ სტუდენტს დამოუკიდებლად ემუშავა კონკრეტული კომპეტენციების მისაღწევად, მათ შორის საუნივერსიტეტო სიმულაციურ ცენტრში. ასევე საგულისხმოა ლექცია/პრაქტიკული მეცადინეობების თანაფარდობა სასწავლო კურსისთვის „კლინიკური დიაგნოსტიკის შესავალი II“, სადაც საკონტაქტო საათები ნაწილდებოდა შემდეგი თანაფარდობით: ლექციები/პრაქტიკული მეცადინეობა: ფიზიკური დიაგნოსტიკა – 15/45; კლინიკური უნარები - 0/30, აქაც ხაზგასასმელი იყო ის გარემოება, რომ საკონტაქტო საათების დიდი ნაწილი დათმობილი იყო პრაქტიკული მეცადინეობებისთვის სასწავლო კურსის შინაარსის გათვალისწინებით. გარდა ამისა აღსანიშნავია, რომ საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის დროს სრულად იყო გათვალისწინებული მედიცინის დარგობრივი მახასიათებლის რეგულაცია სტუდენტის კვირეულ საათობრივ დატვირთვასთან დაკავშირებით, რომელიც არ აღემატებოდა 24 საათს.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ჯილდა ჭეიშვილმა, წაიკითხა შემდეგი რეკომენდაცია - „რეკომენდირებულია პროგრამაში „დიპლომირებული მედიკოსი“ ფსიქოლოგიის (ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსებიდან) და სოციოლოგიის (არჩევითი თავისუფალი კომპონენტი) სავალდებულოში გადმოტანა, ასევე სამედიცინო ინფორმატიკის კურსის დამატება სავალდებულო სასწავლო კურსებში (საინფორმაციო ტექნოლოგიების ეფექტური გამოყენება ინფორმაციის შესანახად და მოსაძიებლად)“.

ზემოაღნიშნული რეკომენდაციის შესახებ, „დიპლომირებული მედიკოსის“ ერთსაფეხურიანი (ინგლისურენოვანი) საგანმანათლებლო პროგრამის თანახელმძღვანელმა, თინათინ გოგნაძემ, განმარტა, რომ რეკომენდაციით გათვალისწინებული სასწავლო კურსი „კლინიკური ფსიქოლოგია“ (ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი კურსი) და „სოციოლოგიის“ (თავისუფალი არჩევითი კომპონენტი) „დიპლომირებული მედიკოსის“ ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული იყო, როგორც არჩევითი კომპონენტი, სასწავლო კურსის სილაბუსებით გათვალისწინებული შინაარსის შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებისა და შედეგების მიღწევის უზრუნველსაყოფად დაწესებულების წარმომადგენლებს მიაჩნდათ, რომ აღნიშნული სასწავლო კურსის სავალდებულო კურსად გათვალისწინების აუცილებლობა არ არსებობდა. პროგრამის სწავლის შედეგების უმაღლეს, სრულყოფის დონეზე მიღწევა უზრუნველყოფილი იყო არსებული

სავალდებულო სასწავლო კურსებით, რაც დასტურდებოდა საგანმანათლებლო პროგრამის დანართით №2 - საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების რუკა.
საბჭოს წევრმა, ზურაბ ორჯონიკიძემ, განაცხადა, რომ უმჯობესი იქნებოდა თუ დაწესებულება განიხილავდა მხოლოდ იმ რეკომენდაციებს, რომელსაც არ ეთანხმებოდა, რადგან საბჭოს წევრები იცნობდნენ გადაგზავნილ მასალებს.
„დიპლომირებული მედიკოსის" ერთსაფეხურიანი (ინგლისურენოვანი) საგანმანათლებლო პროგრამის თანახელმძღვანელმა, თინათინ გოგნაძემ, საინფორმაციო ტექნოლოგიების შესწავლის შესახებ განაცხადა, რომ საგანმანათლებლო პროგრამაში აღნიშნული საკითხების სტუდენტისთვის მიწოდება გათვალისწინებული იყო სასწავლო კურსებით „სამეცნიერო მსჯელობა I და III", რაც დასტურდებოდა აღნიშნული სასწავლო კურსის ფარგლებში გაწერილი შესაბამისი თემატიკით, როგორიც იყო ინფორმაციის მოძიება საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით, ძიების ტექნიკა, ესსეს შექმნა მოძიებული ინფორმაციით.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ჯილდა ჭეიშვილმა, წაიკითხა მერვე რეკომენდაცია - „რეკომენდირებულია პროგრამაში „დიპლომირებული მედიკოსი" პრაქტიკის ობიექტებში პაციენტის ინფორმირებული თანხმობა განხორციელდეს (წერილობითი ფორმით)- პაციენტის უფლებებისა და ადამიანის უფლებების დაცვის მიზნით".
„დიპლომირებული მედიკოსის" ერთსაფეხურიანი (ინგლისურენოვანი) საგანმანათლებლო პროგრამის თანახელმძღვანელმა, თინათინ გოგნაძემ, განაცხადა, რომ შპს ,,ქუთაისის უნივერსიტეტისა და პრაქტიკის ობიექტებს შორის გაფორმებული თანამშრომლობის მემორანდუმები ითვალისწინებდა შემდეგ საკითხებს „მხარეთა მიერ ურთიერთანამშრომლობის შედეგად მოპოვებული ინფორმაცია წარმოადგენს კონფიდენციალურ ინფორმაციას და არ დაიშვება წინამდებარე ხელშეკრულების პირობების გაცნობა მესამე პირისათვის, მეორე მხარის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე. აგრეთვე მხარეებმა უნდა უზრუნველყონ ხელშეკრულების შესრულებისათვის გამიზნული კორესპონდენციისა და სხვა საქმიანი დოკუმენტაციის მესამე პირთა ხელყოფისაგან დაცვა, გარდა მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი შემთხვევებისა. ინფორმაციის (მათ შორის პაციენტთან დაკავშირებული) გამჟღავნების შემთხვევაში კანონმდებლობით გათვალისწინებული (მათ შორის მესამე პირთა წინაშე) პასუხისმგებლობა ეკისრება იმ მხარეს, რომლის მიზეზითაც მოხდა ინფორმაციის გამჟღავნება. მხარეთა ეს მოვალეობა ძალაშია ხელშეკრულების შეწყვეტის შემდგომაც". ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ „დიპლომირებული მედიკოსის" პროგრამის განხორციელებისას რეალურ პაციენტთან სტუდენტის კომუნიკაცია/ თანამშრომლობა დაგეგმილია მხოლოდ სწავლების და არა შეფასების პროცესში.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ჯილდა ჭეიშვილმა, დააზუსტა შესაძლებელი იყო თუ არა, რომ პაციენტის შეფასება მომხდარიყო ისე, რომ ვინმე დასწრებოდა და მას არ ჰქონოდა ინფორმაცია ამის შესახებ.
„დიპლომირებული მედიკოსის" ერთსაფეხურიანი (ინგლისურენოვანი) საგანმანათლებლო პროგრამის თანახელმძღვანელმა, თინათინ გოგნაძემ, განმარტა, რომ დაწესებულებას არ ჰყავდა პაციენტები შეფასების ნაწილში.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ჯილდა ჭეიშვილმა, განმარტა, რომ აღნიშნულ რეკომენდაციაში არ იგულისხმებოდა მხოლოდ შეფასება.
„დიპლომირებული მედიკოსის" ერთსაფეხურიანი (ინგლისურენოვანი) საგანმანათლებლო პროგრამის თანახელმძღვანელმა, თინათინ გოგნაძემ, განმარტა, რომ დაწესებულების წარმომადგენლებმა ასე დაინახეს.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ჯილდა ჭეიშვილმა, წაიკითხა მეცხრე რეკომენდაცია - „რეკომენდირებულია საგანმანათლებლო პროგრამა „დიპლომირებული მედიკოსი" სილაბუსებში კლინიკური და პრაქტიკული კომპონენტის შეფასებისას (OSCE/OSPE და სხვ) კრიტერიუმების გამჭირვალედ გაწერა (რანჟირება ქულობრივი წესით)."
„დიპლომირებული მედიკოსის" ერთსაფეხურიანი (ინგლისურენოვანი) საგანმანათლებლო პროგრამის თანახელმძღვანელმა, თინათინ გოგნაძემ, აღნიშნა, რომ „დიპლომირებული

მედიკოსის“ საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში პრაქტიკული და კლინიკური კომპონენტის შეფასების მიზნით გამოყენებული იყო სხვადასხვა მეთოდები, რომელთა შეფასების დეტალური კრიტერიუმები განისაზღვრა თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსით, ხოლო OSCE/OSPE-ის შეფასების მეთოდის გამოყენების შემთხვევაში წინასწარ შემუშავდა შეფასების ფურცლები, სადაც დეტალურად გაიწერა, თითოეული დავალების შესრულების პროცედურები, შესაბამისი ქულობრივი მაჩვენებლები და შეფასების კრიტერიუმები. გარდა ამისა, შემუშავდა აღნიშნული მეთოდებით გამოცდების ჩატარების ინსტრუქცია გამომცდელთა და სტუდენტთათვის. აღნიშნული დოკუმენტების გაზიარება არ მომხდარა ვიზიტის ფარგლებში, რაც აუცილებლად უზრუნველყოფილი იქნებოდა დაწესებულების მხრიდან, მათი გამოთხოვის შემთხვევაში.

ექსპერტმა, ნინო ზარნაძემ, შრომის კოდექსთან დაკავშირებით განაცხადა, რომ გამოცდილებიდან გამომდინარე, ყველასთვის ცნობილია თუ რამდენ შრომას/საქმეს მოიცავდა ერთი პროგრამის მართვაც კი, აქედან გამომდინარე გაჩნდა კითხვა თუ რამდენად შესაძლებელია უნივერსიტეტის დონეზე, რომელიც რეგიონში ქმნიდა ამინდს, რამდენად საკმარისი იყო 20 საათი პროცესების გამართულად წარსამართად. გარდა ამისა „ევროპის უნივერსიტეტის“ შრომით ხელშეკრულებაში დატვირთვა 40 საათი იყო მითითებული, ქუთაისის უნივერსიტეტში, კი 20 საათი, რამაც გააჩინა ვარაუდი ხომ არ იმოქმედებდა აღნიშნული, მართვის ხარისხზე. ერთ-ერთი პროგრამის ხელმძღვანელი იყო ძალიან დატვირთული, ვიზიტის დროს, ინტერვიუს განმავლობაში მან ისაუბრა, რომ იყო პროგრამის ხელმძღვანელი, ჰქონდა საათები უნივერსიტეტში და გარდა ამისა, ახორციელებდა პროფესიულ საქმიანობას 1 ან 2 საავადმყოფოში, რამაც წარმოშვა ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრება აღნიშნული საკითხის დარეგულირების შესახებ.

**საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს არსებობის შემთხვევაში დაესვათ შეკითხვები.**

საბჭოს წევრი, გაიანე სიმონია, დაინტერესდა თუ რას გულისხმობდნენ OSCE-ში დამოუკიდებელ და საკონტაქტო საათების განაწილებაში, როდესაც საუბარი იყო კლინიკური უნარ-ჩვევების სწავლებაზე. კლინიკური უნარების ცენტრში არ მოიაზრება სალექციო კურსი, ტარდება პრაქტიკული მეცადნიეობები. სათანადო სასწავლო რესურსის არსებობის შემთხვევაში სტუდენტებს უნდა შეეძლოთ დამოუკიდებლად ივარჯიშონ ამა თუ იმ პროცედურის ასათვისებლად. მან სთხოვამ განემარტათ რას გულისხმობს, მაგალითად, ფრაზაში: “შარდის ბუშტის კათეტერიზაცია ჯერ გაცნობითია და შემდეგ სრულყოფილი”, მან აგრეთვე აღნიშნა, რომ ახალ დარგობრივ მახასიათებელში აკადემიური პერსონალის დატვირთვის შესამოწმებლად მოთხოვნილია ე.წ. Full Time Equivalent (FTE) მითითება,

შინაგანი მედიცინის შესახებ განმარტა, რომ მაღალ კურსებზე სწავლება ყველგან მოიკოჭლებდა, მეხუთე-მეექვსე კურსზე კლინიკური უნარები აღარ უნდა ფასდებოდნენ მხოლოდ OSCE-ით, რასაც ახალი სტანდარტი მოაგვარებდა.

საბჭოს წევრმა, დავით ბოსტოღანაშვილმა, განაცხადა, რომ როგორც გაიგო „დიპლომირებული მედიკოსის“ პროგრამა აკრედიტაციის პროცესში იყო, დაინტერესდა უკვე იყო თუ არა განხორციელებული ვიზიტი.

დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ ჩატარდა ვიზიტი, თუმცა ჯერ არ გასულა აკრედიტაციის საბჭოზე.

საბჭოს წევრმა, დავით ბოსტოღანაშვილმა, აღნიშნა, რომ ექსპერტთა დასკვნაში არ იყო საუბარი დარგობრივ დოკუმენტზე, საუბარი იყო შრომის კანონმდებლობასთან შესაბამისობაზე, მისი მოსაზრებით არ მოდიოდა წინააღმდეგობაში შრომის კანონმდებლობასთან, შესაბამისად სთხოვა დამსწრე პირებს დაეზუსტებინათ აღნიშნული.

საბჭოს წევრმა, ნიკა თიკანაშვილმა, განაცხადა, რომ ვინაიდან წარმოადგენდა სტუდენტურ ორგანიზაციას, მისი კითხვები მოიცავდა მეხუთე სტანდარტს (სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები), მისთვის მისასალმებელი იყო გარემოება, რომ მონიტორინგის შემდეგ შესრულდა რეკომენდაციების უმეტესი ნაწილი. საუბარი იყო სტატუსშეჩერებული სტუდენტების მაღალ რაოდენობაზე და იყო მითითება რეკომენდაციის გარკვეულწილად

შესრულების შესახებ, თუმცა არ იყო დაკონკრეტებული, შესაბამისად დაინტერესდა, თუ რა ნაბიჯები გადაიდგა დაწესებულების მხრიდან სტატუსშეჩერებული სტუდენტების რაოდენობის შესამცირებლად და რა თანაფარდობა იყო აქტიური და სტატუსშეჩერებულ სტუდენტების რაოდენობას შორის. საუბარი იყო სტუდენტთა წარმომადგენლობაზეც, „საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ“ მიხედვით სახელმწიფოს მიერ დაფუძნებულ უნივერსიტეტებში წარმომადგენლობა საფაკულტეტო დონეზე იყო წევრების ერთი მეოთხედი, ხოლო მმართველ საბჭოებში ერთი მესამედი, რაც არ გამორიცხავდა, რომ კერძო უნივერსიტეტებშიც იგივე შეფარდება ყოფილიყო, აკრედიტაციის/ავტორიზაციის სტანდარტებისა და სხვა მარეგულირებელი, მათ შორის შიდა დოკუმენტებიდან გამომდინარე, განიხილებოდა სტუდენტთა არჩევისა და დაკომპლექტების პროცესზე, დაინტერესდა თუ რა ღონისძიებები გატარდა აღნიშნული მიმართულებით. სტრუქტურაში ცალკე გამოტანილი იყო სტუდენტთა სადისციპლინო კომიტეტი, ცალკე ერთეული, თუმცა საბჭოს წევრმა ვერ ნახა დოკუმენტი და ვერ შეისწავლა მისი ფუნქცია, ამიტომ დაინტერესდა მისი მუშაობის ძირითადი მიმართულებით.

საბჭოს წევრმა, გაგა გვენეტაძემ, პირველი (მიმართეთ ძალისხმევა სტუდენტებისთვის კვლევის ეთიკის დაცვის უზრუნველსაყოფად უნივერსიტეტში არსებული რეგულაციების გაცნობისთვის) და მესამე (რეკომენდირებულია კურსდამთავრებულების ჩართულობა პროგრამების მოდიფიცირების პროცესში) რეკომენდაციების შესახებ განაცხადა, რომ ისინი დარჩა მიუხედავად იმისა, რომ დაწესებულებს არგუმენტირებულ პასუხში საკმაოდ ვრცლად იყო განხილული, ვიცე-რექტორის თქმით პროცესები დარეგულირებული იყო, თუმცა რეკომენდაცია მაინც იყო დასკვნაში წარდგენილი შესაბამისად დაინტერესდა გამოიკვეთა თუ არა ვიზიტზე რაიმე კონკრეტული გარემოება, რომლის გამოც რეკომენდაცია ძალაში დარჩა.

საბჭოს წევრმა, ანა ფირცხალაშვილმა, შრომითი ხელშეკრულებების შესახებ განაცხადა, რომ ერთი მხრივ საუბარი იყო კერძო-სამართლებრივ ურთიერთობაზე, თუმცა მეორე მხრივ საჯარო სამართლის სფეროში ტრიალებდნენ და არსებობდა დამატებითი რეგულაციები უსდ-სადმი სტანდარტების სახით. სწორედ უსდ-ში არსებული შრომით ურთიერთობებიდან გამომდინარე. იგი დაინტერესდა თუ რამდენად ეფექტურია აღნიშნული უნივერსიტეტის პრაქტიკა დაწესებულების მართვის კუთხით. მას ასევე, აინტერესებდა ინფორმაცია ორივე მხრიდან, ექსპერტებისგან -დაისვა თუ არა აღნიშნული საკითხები მუშაობის ეფექტიანობიდან გამომდინარე და ხომ არ დარჩათ დანაკლისის გრძნობა ექსპერტებს, დაწესებულების წარმომადგენლებისგან კი დაინტერესდა იყო თუ არა მათთვის მიღებული პრაქტიკა, რომ ყველა მიმართულებით ასე ახორციელებდნენ საქმიანობას, თუ მხოლოდ ვიცე-რექტორების შემთხვევა იყო. მისი თქმით, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში, მეექვსე სტანდარტში ეწერა, რომ პრემიების სისტემა იყო წახალისება სამეცნიერო აქტივობისთვის, თუმცა დაინტერესდა თუ გამოითხოვა ექსპერტთა ჯგუფმა ინფორმაცია გაცემული პრემიების შესახებ.

საბჭოს წევრმა, ელიზბარ ელიზბარაშვილმა, განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გაწერილია, რომ „ქუთასის უნივერსიტეტის არსებობას წვლილი შეაქვს საქართველოს რეგიონალურ განვითარებაში“, მან ექსპერტთა ჯგუფს სთხოვა განემარტათ თუ რა კონტექსტში იყენებდნენ სიტყვას „რეგიონალური“. მისი თქმით, გათვალისწინებული ორი რეკომენდაციიდან ერთ-ერთი ეხებოდა IT მხარდაჭერის განვითარებას/გაძლიერებას, მათ შორის პანდემიის პირობებზე მორგებას, მისი ინფორმაციით, ზოგადად, გამოცდების საკითხი დისტანციური სწავლების „აქილევსის ქუსლი“ აღმოჩნდა, დაინტერესდა, თუ რა ღონისძიებები გაატარა დაწესებულებამ ამ კითხით. ექსპერტთა ჯგუფმა აღნიშნა, რომ საკამოდ დიდი სამუშაო გასწია დაწესებულებამ პლაგიატთან დაკავშირებით, ჩაატარა ტრენინგები, რის შესახებაც სთხოვა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეზუსტებინათ თუ ვინ იღებდა საბოლოო გადაწყვეტილებებს პლაგიატი იყო თუ არა, თუ იყო პრეცედენტი, რითი აკეთებდა დაწესებულება მის პრევენციას, რა მოწმდებოდა პლაგიატზე, მხოლოდ საბაკალავრო, სამაგისტრო, სადოქტორო ნაშრომები, თუ სასემინარო მასალებიც.

საბჭოს წევრმა, ზურაბ ორჯონიკიძემ, განაცხადა, რომ როდესაც ახალი დარგობრივი მახასიათებლები შევიდოდა ძალაში უნივერსიტეტებს ბევრი ცვლილებების გაკეთება მოუწევდათ, რაც ძალიან კარგია, რადგან ბევრი საკითხი ძალიან კარგად იქნება გაწერილი.. მან რჩევის სახით სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს, რომ რეკომენდაციები უნდა ყოფილიყო მეტად კონკრეტული, ამასთანავე გიზიარა რეკომენდაცია OSCE-სთან დაკავშირებით, თუ სურდათ მისი კარგად დანერგვა, ქულობრივი რანჟირების გაწერის გარეშე აზრს კარგავდა OSCE-ს ჩატარება, თითოეულ სადგურზე უნდა ყოფილიყო გაწერილი. მეთერთმეტე რეკომენდაციის შესახებ, განაცხადა, რომ შრომის კანონებთან დაკავშირებით არანაირი კონფლიქტი არ არსებობდა, თუმცა შეძლებოდა ყოფილიყო მხოლოდ სსიპ-ებში, თუმცა, როდესაც წარდგენილი იყო კერძო სამართლის იურიდიული პირი - შპს და ააიპ უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის გადასაწყვეტი იყო, თუმცა საათობრივთან დაკავშირებით კანონმდებლობაში, ჩასაწერი იყო თუ რამდენი საათი მუშაობა შეუძლია პირს, რაც მომავალში უნდა დაკორექტირებულიყო, თუმცა ჯერ არ მოდიოდა წინააღმდეგობაში.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ჯილდა ჭეიშვილმა, წინაპირობების შესახებ განაცხადა, რომ „შინაგანი მედიცინა I, II, III“-ის შესახებ ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრება დაემთხვა საბჭოს წევრის პოზიციას, „შინაგანი მედიცინა I“, რომელიც მოიცავდა კარდიოლოგია პულმუნილოგიას, ვერ იქნებოდა „შინაგანი მედიცინა II-ის“ წინაპირობა, რომელიც გასტროენტეროლოგიას მოიცავდა.

საბჭოს წევრი, გაიანე სიმონიამ, განაცხადა, რომ საქართველოს კანონში პაციენტის უფლებებისა და საექიმო საქმიანობის შესახებ მკაფიოდ იყო გაწერილი, თუ როგორი უნდა ყოფილიყო ინფორმირებული თანხმობა, თუ ეს იყო საუნივერსიტეტო კლინიკა და ნაგულისხმევი თანხმობა იყო, ანუ პაციენტი წინასწარ იყო მზად, რომ აღნიშნულ კლინიკაში სტუდენტები ყოფნის შესახებ, მაგრამ თუ საუბარი იყო კერძო კლინიკაზე, პაციენტს წინასწარ უნდა ჰქონოდა მიცემული ინფორმირებული თანხმობა, რადგან თუ უარზე იყო ვერავინ შეეხებოდა.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ჯილდა ჭეიშვილმა, განმარტა, რომ სწორედ ამ საკითხს უკავშირდებოდა ექსპერტთა ჯგუფის მერვე რეკომენდაცია, აღნიშნულ უნივერსიტეტში სიმულაციური აღჭურვილობა საკმაოდ მაღალ დონეზე იყო, შეძენილ იყო, საკმაოდ დიდი რაოდენობისა და ტიპის, არა მხოლოდ სიმულაციური, არამედ ბიოქიმიური, იმუნოლოგიური და ჰისტოლოგიური ლაბორატორიებიც ჰქონდათ. ვიზიტის პროცესში ლაბორატორიაში არ დახვდათ არავინ და დეკანმა და ფაკულტეტის ხარისხის სამსახურის წარმომადგენელმა დაათვალიერებინა ლაბორატორიები ექსპერტთა ჯგუფს. ვერ წარმოიდგინეს იმის საშუალება, რომ სტუდენტს შეეძლო დაეჯავშნა ადგილი არ იყო კონკრეტული პიროვნება, ვინც დაარეგულირებდა აღნიშნულ საკითხს, თუ სიმულაციურ ცენტრში სტუდენტი მიდიოდა, როგორც დამოუკიდებლად სამუშაოდ მას აუცილებლად სჭირდებოდა ზედამხედველი, რომელიც ექსპერტთა ჯგუფმა ვერ ნახა. მეექვსე რეკომენდაციის შესახებ მან განაცხადა, რომ აუცილებელი იყო აღნიშნულის განხორციელება. მეშვიდე რეკომენდაციის, სამიზნე ნიშნულების შესახებ ვიცე-რექტორმა განმარტა, რომ დაწესებულებას შემუშავებული ჰქონდა აღნიშნული სამიზნე ნიშნულები, თუმცა პროგრამის ნაწილში არ იყო გაწერილი, რაც აუცილებელი იყო. მეორე რეკომენდაცია გამომდინარეობდა პროგრამის ხელმძღვანელებთან ჩატარებული ინტერვიუდან, მათ ჰკითხეს თუ რა კრიტერიუმებით ადგენდნენ, რომ მათ მიერ შემუშავებული პროგრამა შეესაბამებოდა თუ არა კვალიფიკაციას, რის შესახებაც პასუხი ვერ მიიღეს, შესაბამისად გაიწერა აღნიშნული რეკომენდაცია.

ექსპერტმა, თინათინ გაბრიჩიძემ, 2.3 კომპონენტთან დაკავშირებით განაცხადა, რომ უნივერსიტეტს კვლევის ეთიკისთვის შემუშავებული ჰქონდა ყველა საჭირო რეგულაცია, იყო პროცედურები, ჩატარდა ტრენინგები და საინფორმაციო შეხვედრები, რაც ასახული იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში, თუმცა საბჭოს წევრის კითხვა გულისხმობდა ინტერვიუს პროცესში პრობლემის წამოჭრის შესახებ, სწორედ სტუდენტებთან ინტერვიუს პროცესში არ დადასტურდა სტუდენტების მიერ კვლევის ეთიკის ნორმების შესახებ ცოდნა, მათ შორის ინტერვიუზე წარმოდგენილი იყო სადოქტორო საფეხურის პროგრამის სტუდენტიც, რამაც

გამოიწვია აღნიშნული რეკომენდაციის დატოვება. მეხუთე სტანდარტთან დაკავშირებით, ექსპერტმა აღნიშნა, რომ უნივერსიტეტს განსაზღვრული ჰქონდა სტუდენტების ქვოტა ფაკულტეტის საბჭოში, რომელიც შეადგენდა აფილირებული აკადემიური პერსონალის ერთ მეოთხედს, რაც ასევე აღნიშნული იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში, ერთი სტუდენტი წარმოდგენილი იყო მმართველ საბჭოშიც, რაც შეეხებოდა წარმომადგენლის შერჩევას, იყო მსჯელობა, თუ როგორ შეიძლებოდა უფრო ეფექტიანად სტუდენტთა მეტი ჩართულობით მათი წარმომადგენლების შერჩევა ფაკულტეტის/მმართველ საბჭოში, თუმცა ვინაიდან უნივერსიტეტი კერძო იყო ის უფრო მოქნილი იყო რეგულაციების განსაზღვრაში, ექსპერტთა ჯგუფმა არ განუსაზღვრა რეკომენდაცია წესის შეცვლის მიზნით, მოქმედი წესის მიხედვით საბჭოში წარადგენდა სტუდენტური თვითმმართველობა, ხოლო მმართველ საბჭოში მონაწილე სტუდენტს წარადგენდა დეკანი, შესაბამისად ექსპერტთა ჯგუფმა არ გაწერა რეკომენდაცია, რადგან არ უშლიდა ხელს სტანდარტის შესრულებას. სტატუსშეჩერებული სტუდენტების შესახებ მან განაცხადა, რომ სტატუსშეჩერებული სტუდენტების რაოდენობის შემცირების მიზნით შესთავაზეს დავალიანების გაუქმება, ვინც წერილობით მიმართავდა რექტორს და გაუქრებოდა დავალიანება, დაახლოებით, 33-მა სტუდენტმა ისარგებლა აღნიშნული შეთავაზებით, ასევე სხვადასხვა მხარდამჭერი მექანიზმები არსებობდა რათა სტუდენტებს დავალიანების გამო არ შეჩერდებოდათ სტატუსი, სწორედ ამიტომ იყო რეკომენდაცია მეტწილად შესრულებული, რომ დაწესებულებამ მართლაც გადადგა ნაბიჯები, თუმცა სტატუსშეჩერებული სტუდენტების პრობლემა მაინც დარჩა, შესაძლებელია ეს უფრო გრძელვადიანი პრობლემა ყოფილიყო, თანაფარდობა კი იყო 170:468.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ჯილდა ჭეიშვილმა, რეგიონალური განვითარების შესახებ, განაცხადა, რომ იმერეთის რეგიონში ერთადერთი კერძო უნივერსიტეტი იყო და უნივერსიტეტის როლი ნამდვილად მნიშვნელოვანი იყო რეგიონალური განვითარებისათვის.

ექსპერტმა, ეკა გეგეშიძემ, განაცხადა, რომ თვითონ იყო წინა ექსპერტთა ჯგუფის წევრიც და მკაფიოდ დაინახა უნივერსიტეტის განვითარება, მნიშვნელოვანი შიდა მექანიზმები შეიმუშავეს, რომლებიც ფუნქციონირებდა, ორ წელში მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა, ექსპერტთა ჯგუფმა ძალიან ბევრი იმსჯელა რეკომენდაციებთან/რჩევებთან დაკავშირებით, თუმცა საბოლოოდ ჩათვალეს, რომ დაელაგებინათ ისე, როგორც დასკვნაში იყო წარმოდგენილი, უნივერსიტეტი მუშაობდა საკუთარ თავზე და ჰქონდა ზრდის პერსპექტივა/პოტენციალი, ძალიან ბევრი საერთაშორისო ექსპერტი ყავდათ მიწვეული. რეგიონალური განვითარების შესახებ განმარტა, რომ ძალიან ბევრი სადოქტორო ნაშრომი ჰქონდათ რეგიონალური განვითარებისთვის, ასევე რეგიონში ერთ-ერთი საუკეთესო ეკონომიკის პროგრამა ჰქონდათ.

რექტორმა, გოჩა თუთბერიძემ, სტატუსშეჩერებულ სტუდენტებთან დაკავშირებით განაცხადა, რომ რაოდენობა მოძრავი იყო, სტუდენტები სხვადასხვა მიზეზით იჩერებდნენ სტატუსს, თუმცა უმეტესი ნაწილი, მაინც ფინანსური პრობლემის გამო იჩერებდა, დაწესებულებას ჰქონდა მხარდამჭერი მექანიზმები, ჩამოაწერეს დანარჩენებს მოუხსნეს გრაფიკი და ცდილობდნენ ფინანსური პრობლემის გამო სტატუსი არ შეეჩერებინათ. ფაკულტეტის საბჭოში სტუდენტთა რაოდენობის შესახებ განმარტა, რომ აფილირებული პროფესორების ერთ მეოთხედს შეადგენს, მმართველ საბჭოში ასევე ჰყავდათ სტუდენტი წარმომადგენელი, რომელი ესწრებოდა საბჭოს სხდომებს და მონაწილეობას იღებდა გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. შრომის კანონმდებლობის შესახებ განმარტა, რომ დაწესებულებას არანაირი პრობლემა არ ქონდა, მან საბჭოს სთხოვა მხარდაჭერა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, რადგან დაწესებულებას ჰქონდა ორგანიზაციული სტრუქტურა, აღნიშნული ვიცე-რექტორების ქვეშ იყო კონკრეტული მიმართულებები/განყოფილებები, რომელთაც ჰყავდათ თავისი ხელმძღვანელები, ისინი ახდენდნენ კოორდინაციას, რექტორმა გამოთქვა კმაყოფილება ვიცე-რექტორების მისამართით, მან სთხოვა საბჭოს მოეხსნათ აღნიშნული რეკომენდაცია, მათი ხელშეკრულებები შესაბამისი იყო კანონმდებლობასთან, ახდენდნენ კოორდინაციას, სამსახურები იყო სრულად დაკომპლექტებული. პრემიების შესახებ მან განაცხადა, რომ

წარდგენილი იყო აფილირების დოკუმენტაცია, ხდებოდა მათი თვითშეფასება, ასევე აფასებდნენ სხვა სამსახურები და მათ შეეძლოთ გამოემუშავებინათ საკმაოდ კარგი თანხა აფილირების ფარგლებში, აფილირება მათთან არ გულისხმობდა მხოლოდ იმას, რომ ეხმარებოდნენ ნაშრომების გამოქვეყნებაში, ეს მიბმული იყო მატერიალურ ინტერესთანაც, წლის შედეგებით ხდებოდა მათი დაჯილდოება, დაახლოებით 45 000 ლარი იქნა გაცემული აკადემიურ პერსონალზე, ერთი არის რაც შესაძლებელია გამოემუშავებინათ აფილირების ხარჯზე და ასევე შეეძლოთ გამოემუშავებინათ პრემიები ჯამში დაახლოებით 100 000 ლარამდე გამოდის. ვინაიდან სურთ მოიზიდონ კარგი პროფესურა დგამდნენ ნაბიჯებს რათა მაქსიმალურად დაეინტერესებინათ. პლაგიატის შესახებ განაცხადა, რომ გადაწყვეტილებას იღებდა სამეცნიერო ხელმძღვანელი, სამაგისტრო ნაშრომის ან დისერტაციისთვის ჰქონდათ პროგრამა, რომელიც აფიქსირებდა მსგავსებას, თუმცა ვერ განსაზღვრავდა ეს მსგავსება პლაგიატია თუ არა, მაგრამ სამეცნიერო ხელმძღვანელების, რეცენზენტებისა და ა.შ. პასუხიმგებლობა იყო ეთქვათ ეს მსგავსება პლაგიატი იყო თუ არა. პროგრამა ინტეგრირებული იყო Moodle-ში, თუ სტუდენტს დავალებად ჰქონდა ესსე, შემდეგ ხდებოდა მსგავსების შემოწმება, იგულისხმებოდა კონკრეტული გამოცდები, სადაც ესსეები უნდა დაეწერა სტუდენტს და შემდეგ პროფესორს უნდა ეთქვა ეს მსგავსება პლაგიატი იყო და გაუნულდეს შეფასება თუ არ არის პლაგიატი და მექანიკური მსგავსება იყო. სტუდენტები ინფორმირებულნი იყვნენ აღნიშნული მექანიზმის შესახებ, თუმცა შესაძლებელი იყო ინტერვიუზე მყოფ შემთხვევითი შერჩევის პრინციპით შერჩეულ სტუდენტებს არ ჰქონდეთ ინფორმაცია აღნიშნულის შესახებ, თუმცა დაწესებულება ვერ უზრუნველყოფდა, რომ 100%-ს სცოდნოდა თუ როგორი წესები და რეგულაციები მოქმედებდა უნივერსიტეტში. დისტანციური სწავლის პირობებში შეფასების შესახებ მან განმარტა, რომ უნივერსიტეტში იყო საგამოცდო ცენტრი, რომელიც წარმართავდა გამოცდების პროცესს, დაწესებულება გადასულია ჰიბრიდულ რეჟიმზე პრაქტიკული სასწავლო კურსები ტარდება ადგილზე, რომელთა გამოცდაც არ ტარდებოდა დისტანციურ რეჟიმში, დანარჩენ შემთხვევაში იყო სპეციალური პროგრამა, რომლის დახმარებითაც ტარდებოდა გამოცდა, მისთვის რთული იყო ესაუბრა, თუ რამდენად დაცულები იყვნენ სტუდენტის მხრიდან მანიპულაციისგან, მაგრამ პროგრამაში ჩანდნენ სტუდენტები და უყურებდნენ დამკვირვებლები,

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა თუ რა პროგრამაზე იყო საუბარი.

ვიცე-რექტორმა, ნინო ტალიაშვილმა, განაცხადა, რომ საუბარი იყო Moodle-ს პლატფორმასა და Zoom-ის შესახებ, სპეციალური წესი ჰქონდათ შემუშავებული თუ როგორ მიმდინარეობდა საგამოცდო პროცესი დისტანციური სწავლებისას.

საბჭოს თავმჯდომარემ დაზუსტა მიმდინარეობდა თუ არა პროცესი ჰიბრიდულად.

რექტორმა, გოჩა თუთბერიძემ განმარტა, რომ მიმდინარეობდა ჰიბრიდულად, პრაქტიკული კურსები მიმდინარეობდა ადგილზე, რაოდენობრივი სასწავლო კურსები, ინგლისური და ა.შ.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა თუ რომელი კურსები ჰქონდათ დისტანციურ სწავლებაზე.

რექტორმა განაცხადა, რომ, მაგ., „ეკონომიკის პრინციპები“ ლექცია ტარდება დისტანციურად, მაგრამ პრაქტიკული პირისპირ.

საბჭოს წევრმა, ელიზბარ ელიზბარაშვილმა, განაცხადა, რომ ჰიბრიდულ სწავლებას ერთი პრობლემა ჰქონდა, შესაძლებელია მიმდებარე სოფლების წარმომადგენლები სწავლობდნენ, და დაინტერესდა ახერხებდნენ თუ არა დასწრებას აუდიტორიაში ჩასატარებელი ლექციებისთვის ქუთაისში ჩასვლას.

რექტორმა, გოჩა თუთბერიძემ, განაცხადა, რომ ჩადიოდნენ, თუმცა თუ სტუდენტი ლექციას ვერ დაესრებოდა ლექციები იწერებოდა, თუმცა ლექტორთან შეთანხმებით და ხელმისაწვდომი იყო სტუდენტებისთვის.

ვიცე-რექტორმა, სოფიო ხუნდაძემ, სიმულაციურ ცენტრსა და ლაბორატორიაში პერსონალის შესახებ განაცხადა, რომ მოცემულ მომენტში დანიშნული ჰყავდათ სიმულაციური ცენტრის ხელმძღვანელი და ლაბორანტი ყველა ლაბორატორიაში, რომლებიც სრულ განაკვეთზე

მუშაობდნენ უნივერსიტეტში, როდესაც განხორციელდა მონიტორინგის ვიზიტი არ ხორციელდებოდა მედიცინის პროგრამა და პროგრამის დაწყებასთან ერთად აიყვანეს თანამშრომლები, როგორც სიმულაციურ ცენტრში, ასევე ლაბორატორიებში. სამიზნე ნიშნულებთან დაკავშირებით განაცხადა, რომ ნახსენები მექანიზმები, მეთოდოლოგიით გაწერილი მექანიზმები ვრცელდებოდა ყველა საგანმანათლებლო პროგრამაზე და თვლიდნენ, რომ კონკრეტულად „დიპლომირებული მედიკოსის" პროგრამაშიც იყო იგივე სამიზნე ნიშნულები. პლაგიატის შესახებ აღნიშნა, რომ მიმდინარე შეფასებებში, როდესაც სტუდენტი ასრულებდა წერით ნაშრომს, სადაც მოეთხოვებოდა წყაროების მითითება ლექტორს ევალებოდა გაეტარებინა პლაგიატის პროგრამაში, ლექტორებს ჰქონდათ თავისი ანგარიშები, წვდომა მუდმივად პროგრამაზე და პლაგიატის აღმოჩენის შემთხვევაში ჰქონდათ ვალდებულება გაენულებინათ ნაშრომი. შეფასების შესახებ, ვინაიდან არ სურდათ ძალიან გაზრდილიყო სილაბუსების მოცულობა ცალკე დანართად ჰქონდათ გატანილი შეფასების ფურცლები, დეტალურად იყო გაწერილი შეფასების რუბრიკები. დატვირთვასთან დაკავშირებით განმარტა, რომ ჰქონდათ საერთო მიდგომები, რაც ძალიან უადვილებდათ პროცესის მართვას ორივე დაწესებულებაში.

**საბჭოს თავმჯდომარემ გამოაცხადა შესვენება:** 16:28 საათი
**საბჭოს სხდომა განახლდა:** 16:53 საათი

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - ქუთაისის უნივერსიტეტის მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

**კენჭისყრისშედეგი:**
მომხრე: 14
წინააღმდეგი: 0

**ავტორიზაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციები და ჩამოაყალიბდა შემდეგი რედაქტირებით:**
1. მიმართეთ ძალისხმევა სტუდენტებისთვის კვლევის ეთიკის დაცვის უზრუნველსაყოფად უნივერსიტეტში არსებული რეგულაციების გაცნობისთვის;
2. რეკომენდირებულია ტრეინინგები პროგრამა ხელმძღვანელებისათვის კვალიფიკაციათა ჩარჩოს შესაბამისობის დადგენის მიზნით;
3. რეკომენდირებულია კურსდამთავრებულების ჩართულობა პროგრამების მოდიფიცირების პროცესში;
4. რეკომენდირებულია პროგრამაში „დიპლომირებული მედიკოსი" რიგი სასწავლო კურსების დაშვების წინაპირობების დაკორექტირება და მათი ლოგიკური ბმა კურსის შინაარსთან;
5. რეკომენდირებულია „დიპლომირებული მედიკოსი" ზოგიერთი სილაბუსების დაკორექტირება, კერძოდ: საათების (საკონტაქტო, დამოუკიდებელი) გადანაწილება სასწავლო კურსების სპეციფიკიდან გამომდინარე;
6. რეკომენდირებულია პროგრამაში „დიპლომირებული მედიკოსი" ფსიქოლოგიის (ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსებიდან) და სოციოლოგიის (არჩევითი თავისუფალი კომპონენტი) სავალდებულოში გადმოტანა, ასევე სამედიცინო ინფორმატიკის კურსის დამატება სავალდებულო სასწავლო კურსებში (საინფორმაციო ტექნოლოგიების ეფექტური გამოყენება ინფორმაციის შესანახად და მოსაძიებლად);
7. რეკომენდირებულია პროგრამაში „დიპლომირებული მედიკოსი" სწავლის შედეგების მიღწევის სამიზნე ნიშნულების განსაზღვრა;

8. რეკომენდირებულია პროგრამაში „დიპლომირებული მედიკოსი“ პრაქტიკის ობიექტებში პაციენტის ინფორმირებული თანხმობა განხორციელდეს (წერილობითი ფორმით) - პაციენტის უფლებებისა და ადამიანის უფლებების დაცვის მიზნით;
9. რეკომენდირებულია საგანმანათლებლო პროგრამა „დიპლომირებული მედიკოსი“ სილაბუსებში კლინიკური და პრაქტიკული კომპონენტის შეფასებისას (OSCE/OSPE და სხვ) კრიტერიუმების გამჭირვალედ გაწერა (რანჟირება ქულობრივი წესით);
10. რეკომენდირებულია ინსტიტუციამ აკადემიური პერსონალის შერჩევისას გაითვალისწინოს საუნივერსიტეტო, საკანონდებლო რეგულაციები და დარგობრივი დოკუმენტის მოთხოვნები (მედიცინის საგანმანათლებლო პროგრამისათვის);
11. რეკომენდებულია, დაწესებულებამ განაგრძოს ძალისხმევა საგანმანათლებლო პროგრამებში ინგლისურენოვანი კურსების ინტეგრირებისთვის;

**რჩევები:**
1. სასურველია პროგრამის ხელმძღვანელების ჩართულობა კითხვარების შემუშავების პროცესში;
2. სასურველია საგანმანათლებლო პროგრამა „დიპლომირებული მედიკოსი“ კურიკულუმში გათვალისიწინებული იქნეს საქართველოს მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვისთვის აქტუალური პრობლემები და გაიზარდოს საათები აქტუალურ სასწავლო კურსებში ( მაგ: ეპიდემიოლოგია);
3. სასურველია საგანმანათლებლო პროგრამა „დიპლომირებული მედიკოსი“ ლოგიკური თანმიმდევრობით სასწავლო კურსების გადანაწილება, ასე მაგალითად პედიატრია I ისწავლება სწავლების VII სემესტრში, ხოლო პედიატრია II სწავლების XII სემესტრში;
4. სასურველია პროგრამების კატალოგის გადახედვა და აკრედიტაციის სტატუსის მითითება (სამართლის საბაკალავრო პროგრამა);
5. სასურველია საგანმანათლებლო პროგრამა „დიპლომირებული მედიკოსი“ სტანდარტიზებული პაციენტების ჩართვა სწავლებისა და შეფასების პროცესებში;
6. სასურველია ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის მიზნები უფრო ლაკონურად ჩამოყალიბდეს;
7. სასურველია საგანმანათლებლო პროგრამა „დიპლომირებული მედიკოსი“ OSCE/OSCE სადგურების რაოდენობის გაზრდა მინიმუმ 10 სადგურამდე (ოპტიმალურია 12 სადგური);
8. საგანმანათლებლო პროგრამა „დიპლომირებული მედიკოსი“ კლინიკური სწავლების დამამთავრებელ ეტაპზე (მე-5 - მე-6 წლებში) სასურველია WPBA (Work Place Based Assessment) - ე.წ. შეფასება სამუშაო (კლინიკურ) გარემოში;
9. სასურველია საგანმანათლებლო პროგრამა „დიპლომირებული მედიკოსი“ პროფესიონალიზმის შეფასების მიზნით გამოყენებულ იქნას პორტფოლიო;
10. სტუდენტებთან კომუნიკაციის გაძლიერების გზით, სასურველია გაიზარდოს მათი ინფორმირებულობა საგანმანათლებლო პროგრამების კომიტეტებისა და მათ მუშაობაში მონაწილეობის მიღების შესაძლებლობის შესახებ;
11. სასურველია უნივერსიტეტმა გააძლიეროს სტუდენტის ჩართულობა გადაწყვეტილების მიღების პროცესებში, როგორც საფაკულტეტო, ასევე საუნივერსიტეტო დონეზე და უზრუნველყოს საბჭოების დაკომპლექტება სტუდენტთა მიერ არჩეული წარმომადგენლებით".

**გადაწყვეტილება:**

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ რეკომენდაციების გათვალისწინების თაობაზე წარმოდგენილი დოკუმენტაციის, მონიტორინგის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, მონიტორინგის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების

ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 103-ე მუხლის პირველი პუნქტისა და 88-ე მუხლის 25-ე პუნქტის შესაბამისად, შეწყდეს შპს - ქუთაისის უნივერსიტეტის (ს/კ: 212677094) ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების მიზნით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება.

**დღის წესრიგით განსაზღვრული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა 2022 წლის 16 მარტის 16:55 საათზე.**

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
შენგელია კახა

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
გვენეტაძე გაგა